პროლეტარეგო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 36-ე წელი | № 214 (10300) | პარასკევი, 9 სექტემბერი, 1955 წ. | ფასი 20 კაპ.

სსრ კავშირისა და გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის ურთიერთობის ნორმალიზაციისათვის

9 სექტემბერს მოსკოვში დაიწყება მოლაპარაკება გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის მთავრობის დელეგაციასა, რომელსაც კანცლერი ადენაუერი მეთაურობს, და საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობას შორის.

მომავალ მოლაპარაკებას უურადღებას აქცევენ ყველა ქვეყნის საზოგადოებრიობის ფართო წრეები. ინიციატივა საბჭოთა კავშირისა, რომელმაც მოითხოვა სსრ კავშირისა და გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის ურთიერთობის ნორმალიზაცია, ყველგან შეფასებულ იქნა როგორც დიდმნიშვნელოვანი წვლილი საერთაშორისო დაძაბულობის შენელების საქმეში. ორივე ქვეყანას შორის ნორმალური, კარგი ურთიერთობის დამყარებას მოითხოვენ მშვიდობისა და ევროპის უშიშროების ინტერესები, ისევე როგორც საბჭოთა და გერმანელი ხალხების ეროვნული ინტერესები.

საბჭოთა ადამიანებისათვის უცხოა არაკეთილმოსურნეობის გრძნობა გერმანელი ხალხისადმი. თუმცა საბჭოთა კავშირ-გერმანიის ურთიერთობის ისტორიაში ცოტა როდი იყო ბნელი ფურცლები, საბჭოთა ხალხს არასოდეს არ დაუვიწყნია, რომ იმ წლებში, როცა ჩვენს ხალხებს შორის მეგობრული ურთიერთობა და თანამშრომლობა არსებობდა, ორივე ქვეყანა დიდ სარგებლობას პოულობდა. საკმაოა ითქვას, რომ 1932 წელს საბჭოთა კავშირს მეორე ადგილი ეკავა გერმანიის ექსპორტში და მესამე ადგილი — მის იმპორტში.

მეორე მხრივ, ისტორიული გამოცდილება გვასწავლის, რომ მტრულ ურთიერთობასა და ომებს საბჭოთა და გერმანელ ხალხებს შორის, რაც წარსულში ხდებოდა, მათთვის აურაცხელი უბედურება და ტანჯვა მოჰქონდა. საკმაოა გავიხსენოთ, რომ ორ წარსულ მსოფლიო ომში სწორედ საბჭოთა და გერმანელმა ხალხებმა გაიღეს ყველაზე მეტი მსხვერპლი.

ხელმძღვანელობს რა ზრუნვით, რომ მომავალში თავიდან აიშოროს ასეთი საშინელი უბედურების გამეორების შესაძლებლობა, საბჭოთა კავშირი მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ უყოყმანოდ დათანხმდა გერმანელ ხალხთან კარგი, კეთილმეზობლური ურთიერთობის დამყარებაზე. ასე წარმოიშვა მეგიდრო, მეგობრული თანამშრომლობა სსრ კავშირსა და გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის, რომელიც ვითარდება თანასწორუფლებიანობისა და საშინაო საქმეებში ჩაურევლობის მტკიცე საფუძველზე. ამჟამად იმ გარემოებამ, რომ გაუქმებულ იქნა დასავლეთ გერმანიისათვის ეგრეთწოდებული საოკუპაციო სტატუტი, რომელიც მეტად ზღუდავდა მის საგარეოპოლიტიკურ ურთიერთობას, აგრეთვე იმან, რომ სსრ კავშირის უმაღლესმა საბჭომ მიიღო დადგენილება სსრ კავშირსა და გერმანიას შორის ომის მდგომარეობის შეწყვეტისა და მათ შორის მშვიდობიანი ურთიერთობის დამყარების შესახებ, შექმნა საჭირო პირობები საბჭოთა კავშირსა და გერმანიის ფედერალურ რესპუბლიკას შორის უშუალო ურთიერთობის ნორმალიზაციისა და დამყარებისათვის.

გერმანიის საზოგადოებრიობის უაღრესად ფართო წრეები მიესალმებიან მოლაპარაკებას, რომელიც მოსკოვში იწყება, და სურვილს გამოთქვამენ, რომ ორივე ქვეყნის ხელმძღვანელ სახელმწიფო მოღვაწეთა შორის პირადი კონტაქტის დამყარება დაგვირგვინდეს კონკრეტულ გადაწყვეტილებათა მიღებით სსრ კავშირსა და გერმანიის ფედერალურ რესპუბლიკას შორის ნორმალური დიპლომატიური, ეკონომიური და კულტურული ურთიერთობის დამყარების შესახებ. სწორედ ეს არის მოლაპარაკების მთავარი ამოცანა, სრულიად ნათელი და გასაგები.

მაგრამ სწორი არ იქნებოდა დუმილით აგვეცილო გვერდი იმისათვის, რომ უცხოეთის გარკვეული წრეები ყოველნაირად ცდილობენ არევდრევა შეიტანონ ამ საკითხში და ამით გაართულონ და გააძნელონ იმ ამოცანების გადაჭრა, რომლებიც დასახულია მოლაპარაკების მონაწილეთა წინაშე. ჩვენ მხედველობაში გვაქვს პირველ რიგში ცდები ამ ამოცანების გადაჭრა ასე თუ ისე დაუკავშირონ სხვა პრობლემების, და პირველ რიგში გერმანიის გაერთიანების პრობლემის მოწესრიგებას.

მაგრამ, მოუხედავად ამისა, არ შეიძლება არ დავნახოთ, რომ ცდები სსრ კავშირისა და გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის ურთიერთობის ნორმალიზაციის საკითხის გადაჭრა გაართულონ რაიმე „წინასწარი პირობების“ წამოყენებით, სრულიადაც ვერ გამოიწვევს დადებითს შედეგებს.

რაც შეეხება გერმანიის ერთიანობის აღდგენის საკითხს, საბჭოთა კავშირის პოზიცია ამ საკითხში სრულიად ნათელია: სსრ კავშირი იყო და არის მშვიდობისმოყვარულ, დემოკრატიულ საწყისებზე გერმანიის ერთიანობის აღდგენის მტკიცე მომხრე. ამასთან ერთად ცნობილია, რომ ამ ამოცანის გადაწყვეტის გზაზე ამჟამად სერიოზული დაბრკოლებებია, რომლებიც, საბჭოთა კავშირის არაერთგზის გაფრთხილების საწინააღმდეგოდ, შექმნეს იმათ, ვინც ასეთი დაუინებით მოითხოვდა ძალაში შესულიყო პარიზის შეთანხმებები, რომელთა მიზანია დასავლეთ გერმანიის მილიტარიზაცია და მისი შეყვანა დასავლეთის სახელმწიფოთა სამხედრო დაჯგუფებებში.

ახლა პარიზის შეთანხმებები უკვე შევიდა ძალაში და ხორციელდება. ამან შექმნა ახალი მდგომარეობა, რომლის უგულებელყოფა არ შეიძლება. ითვალისწინებს რა ახალ ვითარებას, რომელიც პარიზის შეთანხმებათა ძალაში შესვლის შემდეგ შეიქმნა, საბჭოთა კავშირმა ახალი წინადადება შეიტანა ოთხი სახელმწიფოს მთავრობათა მეთაურების ჟენევის თათბირზე. მან მოითხოვა გერმანიის გაერთიანების ამოცანის გადაჭრას მიაღწიონ ნაბიჯ-ნაბიჯ, ევროპაში საერთაშორისო დაძაბულობის შენელების გზით, სახელმწიფოების არსებულ სამხედრო დაჯგუფებათა ლიკვიდაციისა და სრულიად ევროპის კოლექტიური უშიშროების ეფექტიანი სისტემის შექმნით, რომელშიც პირველ ხანებში მონაწილეობას მიიღებს როგორც გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა, ისე გერმანიის ფედერალური რესპუბლიკა, ხოლო შემდეგში — გაერთიანებული გერმანია.

ამჟამად თვითონ გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის პოლიტიკურ წრეებში სხვადასხვა შეხედულებაა გერმანიის გაერთიანების გზების შესახებ. მაგალითად, ცნობილია თვალსაზრისი სოციალ-დემოკრატიული პარტიისა, რომელიც 9 მილიონი ამომრჩევლის წარმომადგენელია. ეს თვალსაზრისი არ ემთხვევა იმ აზრებს, რასაც გამოთქვამს პრესა, რომელიც მთავრობის წრეების აზრს ასახავს. სოციალ-დემოკრატიული პარტია გამოდის პარიზის შეთანხმებათა წინააღმდეგ და იმის წინააღმდეგ, რომ ფედერალური რესპუბლიკა ატლანტიკის პაქტში შეიყვანონ. ადენაუერი ვერ შეუთანხმდა სოციალ-დემოკრატებს მომავალი მოლაპარაკების პროგრამის შესახებ, რადგან უთანხმოება აქვს მათთან ამ უმნიშვნელოვანეს საკითხებში.

გერმანიის კომუნისტური პარტია თანმიმდევრულად იცავს დემოკრატიულ და მშვიდობისმოყვარულ საწყისებზე გერმანიის გაერთიანების საქმეს. არ შეიძლება ეს არ მივიჩნიოთ მუშათა კლასისა და მშრომელთა ფართო მასების მისწრაფებად იმისადმი, რომ გერმანია აღორძინდეს როგორც დემოკრატიული და მშვიდობისმოყვარე სახელმწიფო.

თანამედროვე პირობებში გერმანიის პრობლემის სრული გადაწყვეტისათვის საჭიროა დიდი და სერიოზული ღონისძიებანი როგორც დიდი სახელმწიფოების მხრივ, ისე განსაკუთრებით თვითონ გერმანელი ხალხის მხრივ. აგრეთვე იგულისხმება, რომ გერმანიის გაერთიანების საკითხის გადაჭრისას არ შეიძლება ანგარაში არ გავუწიოთ როგორც გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, ისე გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის აზრს. სხვა სიტყვებით რომ ითქვას, ახლანდელ პირობებში ამ საკითხის გადაჭრა უწინარეს ყოვლისა დამოკიდებულია თვითონ გერმანელებზე, მათს ერთობლივ ღონისძიებებზე.

ეს იმას ნიშნავს, რომ გერმანიის ახლანდელ საერთაშორისო და საშინაო პირობებში გერმანიის გაერთიანების მიღწევა არ შეიძლება მისი ორივე ნაწილის მექანიკური შეერთებით და რომ ასეთ ცდებს არა აქვს და არც შეიძლება ჰქონდეს წარმატება, რადგან ეს ცდები არ ითვალისწინებენ ობიერურ ვითარებას. ყველასათვის ნათელია, რომ ამგვარ ცდებსა და გეგმებს შეიძლება მხოლოდ მოჰყვეთ ნეგატიური შედეგები — საქმის გაჭიანურება და გართულება.

აქედან გამომდინარეობს, რომ სსრ კავშირისა და გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის ურთიერთობის ნორმალიზაციის საკითხის დაკავშირება გერმანიის ერთიანობის პრობლემის ამა თუ იმ წინასწარ გადაჭრასთან მხოლოდ იმას შეუძლია, ვინც დაინტერესებული არ არის არც ურთიერთობის ნორმალიზაციით, არც გერმანიის ერთიანობის ერთიანობის აღდგენით. ასეთი პოზიცია შეიძლება ნაკარნახევი იყოს მხოლოდ იმის სურვილით, რომ მომავალ მოლაპარაკებას წინასწარ განუმზადონ წარუმატებლობა.

ბევრი ფაქტი მოწმობს იმას, რომ ასეთი ზრახვები არსებობს. მაგალითად, ამ უკანასკნელ დღეებში დასავლეთის პრესა გულმოდგინედ ავრცელებდა აზრს, რომ ცუდი არ იქნება, თუ სსრ კავშირსა და გერმანიის ფედერალურ რესპუბლიკას შორის მოსკოვის მოლაპარაკების შედეგად სსრ კავშირისა და გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის წარმომადგენლებისაგან შეიქმნება ერთგვარი... „შერეული კომისიები“, რომლებიც დაიწყებდნენ დიპლომატიური, ეკონომიური და კულტურული ურთიერთობის დამყარების საკითხთა შედგომ „შესწავლას“. ეს უხეირო წამოწყება მთლიანად ამეღვენებს მათ ავტორებს: ისინი უარს ამბობენ იმ აზრზე, რომ შესაძლოა რეალური ნაბიჯები გადაიდგას სსრ კავშირსა და გერმანიის ფედერალურ რესპუბლიკას შორის ნორმალური, კარგი ურთიერთობის დასამყარებლად.

ბუნებრივია, რომ ამგვარი და მათი მსგავსი ზრახვები კანონიერ შეშფოთებას იწვევს გერმანელ პატრიოტებში, რომლებსაც კარგად აქვთ შეგნებული, რომ საბჭოთა კავშირთან ნორმალური ურთიერთობის დამყარებით უწინარეს ყოვლისა დაინტერესებულია გერმანიის ფედერალური რესპუბლიკა, რამდენადაც ეს შექმნდა სსრ კავშირსა და გერმანიის ფედერალურ რესპუბლიკას შორის თანამშრომლობის საფუძველს და ამით დიდმნიშვნელოვანი წვლილი იქნებოდა გერმანიის ერთიანობის აღდგენის საქმეში.

ამასთან დაკავშირებით დასავლეთ გერმანიის საზოგადოებრიობის ფართო წრეები სულ უფრო გადაჭრით გმობენ ბონის გარკვეული წრეების ცდებს, რომლებიც სავსებით მოწყვეტილია რეალურ სინამდვილეს, ცდებს — თავიანთ დიპლომატიაში გამოიყენონ დიდხანაა გაკოტრებული პოლიტიკა — „ძალის პოზიციის“ პოლიტიკა. გერმანელ ხალხს, რომელსაც კარგად ახსოვს მეორე მსოფლიო ომში დამარცხება, მობეზრებული აქვს ეს პოლიტიკა. მას არ სურს მესამედ წამოიწყოს საშიში ომის ავანტიურა. აი ამიტომ იგი გადაჭრით გმობს ყოველგვარ ცდას — ამა თუ იმ სახით აღდგინონ ასეთი პოლიტიკა.

რაც შეეხება საბჭოთა კავშირს, იგი იმის მომხრე იყო და არის, რომ გერმანიის პრობლემა გადაიჭრას მშვიდობიან და დემოკრატიულ საწყისებზე.

როგორც ცნობილია, ოთხი სახელმწიფოს მთავრობათა მეთაურების ჟენევის თათბირზე საბჭოთა მთავრობის დელეგაციამ სავსებით ნათლად ჩამოაყალიბა თავისი პოზიცია ამ საკითხში. გზა, რომელიც მან დასახა, იხსნის გერმანელ ხალხს იმ მძიმე საფრთხისაგან, რომელიც მას შეუქმნეს პარიზის შეთანხმებებმა, და გადაუშლის მას ერთიანი, დამოუკიდებელი, დემოკრატიული, მშვიდობისმოყვარე გერმანიის სახელმწიფოს აღდგენის პერსპექტივას.

საბჭოთა კავშირისა და გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის ურთიერთობის ნორმალიზაცია ხელს შეუწყობს ორივე ქვეყანას შორის თანამშრომლობის დამყარებას, დიდმნიშვნელოვანი წვლილი იქნება ევროპისა და მთელი მსოფლიოს მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცების საქმეში.

საბჭოთა კავშირის ხალხებს გულწრფელად სურთ წარმატება სსრ კავშირისა და გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის მთავრობებს შორის მომავალ მოლაპარაკებაში. საბჭოთა ადამიანებმა იციან, რომ საბჭოთა კავშირი ყოველ ღონეს იხმარს, რათა მოლაპარაკებას დადებითი შედეგები მოჰყვეს. ამრიგად, მოლაპარაკების წარმატება დამოკიდებულია იმაზე, ექნება თუ არა მეორე მხარეს შესაბამისი მისწრაფება.

„პრავდის“ 8/IX მოწინავე.

მოსკოვს ჩამოვიდა გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის მთავრობის დელეგაცია

საბჭოთა მთავრობის მოწვევით 8 სექტემბერს მოსკოვს ჩამოვიდა გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის მთავრობის დელეგაცია ფედერალური კანცლერის დოქტორ კ. ადენაუერის მეთაურობით.

დელეგაციის შემადგენლობაში არიან: საგარეო საქმეთა მინისტრი დოქტორი გ. ფონ ბრენტანო, საგარეო საქმეთა სამინისტროს სტატს-მდივანი დოქტორი ვ. ჰალშტაინი, ფედერალური კანცლერის კანცელარიის სტატს-მდივანი დოქტორი გ. გიობკე, ელჩი გ. ბლანკენჰორნი, მინისტერიალდირექტორი დოქტორი ვ. გრევე, მეურნეობის სამინისტროს საგარეო ეკონომიური განყოფილების ხელმძღვანელი დოქტორი გ. რაინჰარდტი, საგარეო საქმეთა სამინისტროს სავაჭრო-პოლიტიკური განყოფილების ხელმძღვანელი დოქტორი გ. ვან შერპენბერგი, საგარეო საქმეთა სამინისტროს კულტურის განყოფილების ხელმძღვანელი დოქტორი გ. ფონ გრიუტცშელერი, ელჩი ფ. ფონ ეკარდტი, საგარეო საქმეთა სამინისტროს საოქმო განყოფილების უფროსი დესპანი დოქტორი ე. გ. მორი, დესპანი დოქტორი ფონ ვალტერი, მინისტერიალდირიგენტი დოქტორი უ. მიულერი, დოქტორი გ. კოხი. დელეგაციას თან ახლავან ბუნდესრატის საგარეო საქმეთა კომისიის თავმჯდომარე კ. არნოლდი, ბუნდესტაგის საგარეო საქმეთა კომისიის თავმჯდომარე კ. გ. კიზინგერი და ამავე კომისიის თავმჯდომარის მოადგილე კ. შმიდი.

გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის დელეგაციის ჩამოსვლის გამო ვნუკოვოს აეროდრომი მორთული იყო გერმანიის ფედერალური რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ალმებით. ფედერალური კანცლერის ბ-ნ კ. ადენაუერის და გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის მთავრობის დელეგაციის შესახვედრად მოვიდნენ ნ. ა. ბულგანინი, ვ. მ. მოლოტოვი, მ. გ. პერვუხინი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს საგარეო საქმეთა კომისიის თავმჯდომარე მ. ა. სუსლოვი, საგარეო ვაჭრობის მინისტრი ი. გ. კაბანოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეები ა. ა. გრომიკო და ვ. ს. სემიონოვი, რუსეთის სფსრ კულტურის მინისტრი ტ. მ. ზუევა, მოსკოვის საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე მ. ა. იასნოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს მე-3 ევროპის განყოფილების გამგე ს. გ. ლაპინი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს საოქმო განყოფილების გამგე თ. თ. მოლოჩკოვი, ქალაქ მოსკოვის კომენდანტი გენერალ-მაიორი ი. ს. კოლესნიკოვი, საბჭოთა და უცხოეთის პრესის წარმომადგენლები, მათ შორის დასავლეთ გერმანიის ჟურნალისტები, რომლებიც მოსკოვს ჩამოვიდნენ საბჭოთა კავშირისა და გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის მთავრობების დელეგაციათა შორის მომავალ მოლაპარაკებასთან დაკავშირებით.

ფედერალური კანცლერის კ. ადენაუერისა და დელეგაციის წევრების შესახვედრად აგრეთვე მოვიდნენ მოსკოვში დიპლომატიური კორპუსის დუაიენი (უხუცესი) შვეიცის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი რ. რ. სულმანი, ამერიკის შეერთებული შტატების საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სსრ კავშირში ჩ. ე. ბოლენი, დიდი ბრიტანეთის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სსრ კავშირში სერ უ. ჰეიტერი, საფრანგეთის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სსრ კავშირში ლ. ჟოკსი.

საღამოს 5 საათზე თვითმფრინავი ძიოს დაეშვა.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ა. ბულგანინმა კანცლერ კ. ადენაუერს და მთავრობის დელეგაციის წევრებს მისალმების სიტყვებით მიმართა.

კანცლერმა კ. ადენაუერმა აეროდრომზე შემდეგი განცხადება გააკეთა:

„გმადლობთ, ბატონო მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეე, უაღრესად თავაზიანი სიტყვებისათვის, რომლებითაც თქვენ მოგვესალმეთ მე და ჩვენს დელეგაციას.

გულწრფელად ვიმედოვნებ, რომ პირველი კონტაქტი, რომელსაც ჩვენ ვამყარებთ მოსკოვში ჩვენი ყოფნით, დასაწყისი იქნება ნორმალური, კარგი ურთიერთობის დამყარებისა საბჭოთა კავშირსა და გერმანიას შორის.

მტკიცედ ვარ დარწმუნებული, რომ მშვიდობიან თანამშრომლობას ბევრი სარგებლობა შეუძლია მოუტანოს საბჭოთა კავშირის ხალხებს და გერმანელ ხალხს და რომ ევროპისა და მთელი მსოფლიოს კეთილდღეობისა და უშიშროების შენარჩუნება და განმტკიცება მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია ჩვენი ურთიერთობის ნორმალიზაციაზე.

ჩვენი მუშაობა და ჩვენი მოლაპარაკება აქ — მოსკოვში — გვსურს მთლიანად მივუძღვნათ მშვიდობის საქმეს“.

აეროდრომზე კანცლერ კ. ადენაუერისა და გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის მთავრობის დელეგაციის წევრების შეხვედრის დროს ჩამწკრივებული იყო საპატიო ყარაული და შესრულდა გერმანიის ფედერალური რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ჰიმნები. (საკდესი).

თბილისის სტუდენტთა დღესასწაული

ლამაზად, სადღესასწაულოდ მოირთო გუშინ ს. ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების ცენტრალური პარკის ხეივნები. აქ გაიმართა თბილისის სტუდენტთა დღესასწაული, მიძღვნილი უმაღლეს სასწავლებლებში სასწავლო წლის დაწყებისადმი.

პარკი თითქოს გაახალგაზრდავებულა, აქ შეიკრიბა ათასობით ქალიშვილი და ჭაბუკი, კიდითკიდემდე გასისმის მხიარული სიმღერები, მუსიკა, ისმის სიცილი, ყველგან მხიარულებაა. ახალგაზრდების სახე ჯანმრთელი და მხნეა. ბევრმა სტუდენტმა თავისი საზაფხულო არდადეგები გაატარა ჯანმრთელობის კერებში, წარმტაც ტურისტულ ლაშქრობაში. ჯახლონითა და ეფერგიით აღსავსენი შეუდგნენ ისინი სწავლას.

ქალიშვილები და ჭაბუკები გამსჭვალული არიან ღრმა სიყვარულითა და ერთგულებით სამშობლოსადმი, მშრომელი კომუნისტური პარტიისადმი, რომლებმაც საბჭოთა ახალგაზრდობას დაუსახეს შემოქმედებითი, აღმშენებლობითი შრომის ფართო გზები.

სტუდენტთა დღესასწაულზე მოვიდნენ თბილისის პარტიული, საბჭოთა ორგანიზაციების ხელმძღვანელები, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანიზაციების წარმომადგენლნი, მეცნიერების, ლიტერატურის, ხელოვნების მოღვაწეები, წარმოების ახალგაზრდა მუშაკები.

საზეიმო საღამო გახსნა საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის მდივანმა ამხ. ნ. ე. ჭახრაკიამ.

სიტყვა ეძლევა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ამხ. ვ. პ. მჟავანაძეს, რომელსაც შეკრებილნი გულთბილად შეხვდნენ.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მთავრობისა და უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით მან სტუდენტებს მიულოცა სასწავლო წლის დაწყება და წარმატება უსურვა მათ სწავლაში.

თავის სიტყვაში ამხ. მჟავანაძე ლაპარაკობს, თუ რა დიდად ზრუნავენ კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა სოციალისტური კულტურის ზრდისათვის, უმაღლესი განათლების განვითარებისათვის, ლაპარაკობს იმ ამოცანებზე, რომლებიც დასახულია უმაღლესი სკოლის წინაშე სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ყველა დარგის სპეციალისტთა მაღალკვალიფიციური კადრების მომზადების საქმეში.

მან მოუწოდა სტუდენტებს ზეჯიოთად ისწავლონ, ღრმად დაეუფლონ მეცნიერებას, აიმაღლონ იდეური და კულტურული დონე, რათა გახდნენ კომუნიზმის აქტიური მშენებლები.

სიტყვას ამბობს საქართველოს კირვის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის დაუსწრებელი განყოფილების სტუდენტი ხარატი ა. ზერძენიშვილი.

— საბჭოთა ქვეყანაში, — თქვა მან, — უმაღლესი განათლება ხელმისაწვდომია ყველა მშრომელისათვის. ჩვენ, უმაღლესი სასწავლებლების მოსწავლეები, დარწმუნებული ვართ ჩვენს მომავალში, ვიცით, რომ მოგველის სასიხარულო, შემოქმედებითი შრომა.

ლენინის სახელობის რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტის სტუდენტმა ი. კალუგინმა განაცხადა, რომ ინსტიტუტის სტუდენტთა მრავალეროვანი კოლექტივი გაერთიანებულია ერთი მისწრაფებით — მიიღოს ღრმა, მტკიცე ცოდნა, რათა გამოიყენოს იგი პრაქტიკულ მუშაობაში საყვარელი სამშობლოს საკეთილდღეოდ.

საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დაუსწრებელი განყოფილების სტუდენტმა ყვარლის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ სოციალისტური შრომის გმირმა ს. ბუჯიაშვილმა აღნიშნა, რომ უმაღლესი სასწავლებლის მოსწავლეები ყოველ ღონეს იხმარენ, რათა ღირსეული წვლილი შეიტანონ სოფლის მეურნეობის მკვეთრი აღმავლობის შესახებ პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებათა შესრულებაში.

იმაზე, რომ საბჭოთა სტუდენტები მზად არიან ზეჯიოთი სწავლით უპასუხონ პარტიისა და მთავრობის ზრუნვას, ილაპარაკეს პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტისა და სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებმა ლ. შენგელიამ და ლ. ტორონჯაძემ.

დიდი გულთბილობით გაისმა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრის, სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორის კ. კეკელიძის სიტყვა. მან სტუდენტებს უსურვა წარმატება ცოდნისა და მეცნიერების დაუფლებაში.

საზეიმო საღამო დამთავრდა დიდი კონცერტით. გვიანობამდე გრძელდებოდა პარკში მხიარულება. სტუდენტთა დღესასწაული დამთავრდა დიდი ფეიერვერკით. (საქდესი).



მოსკოვი. საბჭოს მოედანი.

ფოტო ა. ბატანოვისა (საკდესის ფოტოკრონიკა).

ნავთობისა და გაზის ახალი საბადოები უკრაინაში

კიევი. (საკდესი). უკრაინის ოლქებში, სავლეთ ოლქებში აღმოჩენილია ნავთობისა და ბენზინი — ბენზინის ნედლეული. საკდესის კორესპონდენტთან საუბარში გაერთიანება „უკრნეფტის“ უფროსმა ნ. ა. გორევმა განაცხადა:

— მეხუთე ხუთწლედის წლების მანძილზე რესპუბლიკაში განხორციელდა დიდი საძიებო სამუშაოები ნავთობისა და გაზის ახალი სამრეწველო ბუდობების აღმოსაჩენად. გაზის დიდი საბადო აღმოჩენილია შებელინკაში ხარკოვის ახლოს. აქ მთავრდება გაზის დიდი ფართობის შემოფარგვლა. მიმდინარეობს ძიება სიღრმეზე ნავთობის ბუდობის აღმოჩენის მიზნით. სამრეწველო და საყოფაცხოვრებო საჭიროებისათვის გაზის გამოსაყენებლად მიმდინარეობს შებელინკა-ხარკოვის გაზსადენის მშენებლობა.

ხარკოვის ოლქში აღმოჩენილია ნავთობისა და გაზის შემცველი მთელი რიგი სტრუქტურები, სადაც უკვე დაწყებულია ღრმა ძიება. სამუშაოთა წარმოება მიმდინარეობს პროგრესული წესით — ტურბინული ბურღვით.

მირგოროდის (პოლტავის ოლქი) ახლოს აღმოჩენილია რატჩენკოოს ნავთობის ბუდობი. ახალ საბადოში მოწყობილია თხევადი სითბოს ამოღება. ემზადება რა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის, სარეწის კოლექტივი წარმატებით ასრულებს ნავთობის ამოღების პროგრამას. ოსტატის ამხ. ბურჩენკოს ბრიგადამ ჭაბურღილი გაბურღა ჩარხზე თვეში 2.861 მეტრის სიჩქარით, რაც 2,5-ჯერ აღემატება ნორმას. მაღალ ნაყოფიერებას მიაღწია აგრეთვე ოსტატის ამხ. პროკალის მბურღავთა ბრიგადამ.

ახლა საძიებო სამუშაოები წარმოებს ნავთობის აღმოსაჩენად სოლოხშოდიანკის, ზაჩეპილოვკის და სხვა ფართობებზე. აკეთებენ ღრმა საძიებო ჭაბურღილებს კალაიტის ფართობზე ქალაქ ლუბნის ახლოს. წარმატებით მთავრდება გაზის საბადოს შემოფარგვლა მიხაილოვკის ფართობზე (დნეპროპეტროვსკის ოლქი).

ხაჩატურ აბოვიანის დაბადების 150 წლისთავის გამო

ერევანი. (საკდესი). სომხეთის მშრომელები ემზადებიან ფართოდ აღნიშნონ დიდი სომეხი განმანათლებელი მწერლის ხაჩატურ აბოვიანის დაბადების 150 წლისთავი. საწარმოებსა და დაწესებულებებში, კოლმეურნეობებსა და მტს-ებში, უმაღლეს სასწავლებლებსა და სკოლებში ეწყობა ლექციები და მოხსენებები გამოჩენილი დემოკრატი მწერლის ცხოვრებისა და შემოქმედებითი ბოღვაწეობის შესახებ.

გაიმართა რესპუბლიკური საიუბილეო კომისიის სხდომა სომხეთის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ა. კოჩინიანის თავმჯდომარეობით, გადაწყდა 15 ოქტომბერს ერევანში გაიმართოს საზეიმო სხდომა.

სომხეთის სსრ მეცნიერებათა აკადემიის მ. ხ. აბეგიანის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტი იუბილესათვის უშვებს ხაჩატურ აბოვიანის თხზულებათა აკადემიური კრებულის მე-6 და მე-7 ტომებს. რუსულ და სომხურ ენებზე გამოიცემა მწერლის რომანი „სომხეთის ჭრილობები“. გამოსაცემად მზადდება კვლევითი შრომები ხ. აბოვიანის შემოქმედების შესახებ.

მწერლის სამშობლოში რაიონულ ცენტრ კანაკერში წარმოებს სახლ-მუზეუმის რეკონსტრუქცია. ბიბლიოთეკებში, საქარხნო კლუბებში, კულტურის სასახლეებში გაიხსნება დიდი სომეხი მწერლის დაბადების 150 წლისთავისადმი მიძღვნილი გამოფენები.

საბავშვო წიგნის სახლი

საინტერესო სამყარო იშლება ნორჩ მოსკოველთა წინაშე საბავშვო წიგნის სახლის დარბაზებში. აქ შეიძლება ნახოთ ყოველივე — დაწყებული პირველი საყვარელი ზღაპრებით და დამთავრებული რუსული და მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსებით, ფანტასტიკური მოთხრობებით და ატომგულის ფიზიკის საფუძველთა მეცნიერულ-პოპულარული გამუქებით. ორ სამკითხველოში — პატარებისა და უფროსებისათვის, წიგნის მუზეუმ-გამოფენაში, ლექტორიუმში მოსწავლეები ეცნობიან საბავშვო ლიტერატურის საუკეთესო ნაწარმოებებს. ისინი მონაწილეობენ მკითხველთა კონფერენციებში, ხვდებიან მწერლებს და მხატვარ ილუსტრატორებს.

წიგნების განხილვაში მარტო მოსკოველი მოსწავლეები როდი მონაწილეობენ. აქ საბჭოთა კავშირის ყველა კუთხიდან გზავნიან მოსწავლეები ასობით წერილს, რომლებშიც გამოთქვამენ თავიანთ შთაბეჭდილებებს, სურვილებს. მოსწავლეების წერილებში გამოთქმულ მოსაზრებათა მიხედვით წიგნის სახლის მუშაკები სწავლობენ ბავშვთა ინტერესებს, მოთხოვნილებას.

წიგნის პროპაგანდის ფორმა მრავალფეროვანია: ლექციები საბავშვო ლიტერატურის საკითხებზე, სალიტერატურო საღამოები, მწერალთა შემოქმედებითი ანგარიში, კონსულტაციები ბიბლიოთეკარების, მასწავლებლების, პიონერხელმძღვანელებისათვის, წიგნის გამოფენები სკოლებში, საწარმოებში. გამოდის ბევრი ბიბლიოგრაფიული სახელმძღვანელო, სარეკომენდაციო სიები. სახლის თანამშრომლები მიდიან სკოლებსა და ბიბლიოთეკებში საბავშვო ლიტერატურის მომხილვის გასაკეთებლად. (საკდესი).

პარტიული ცხოვრება

პარტიული ორგანიზაცია და ახალი სასწავლო წლისათვის მზადება

პარტიის ზუგდიდის რაიონულ კომიტეტში ამას წინათ გამართულ თათბირზე, რომელიც პარტიული განათლების სისტემაში ახალი სასწავლო წლისათვის მზადებას მიეძღვნა, რაიკომის ინსტრუქტორმა მტს-ის ზონაში ტ. ზარქუამ განაცხადა:

— გასულ წელს პირველადი პარტორგანიზაციების მდივნებს კონკრეტული დახმარება ვერ გაეწიეთ პარტიული განათლების ქსელის დაკომპლექტებაში. ჩვენ მათ საერთო მითითებებს ვაძლევდით, ხოლო პოლიტსკოლებისა და წრეების დაკომპლექტებაში, პროპაგანდისტთა და კონსულტანტთა შერჩევაში მონაწილეობას არ ვიღებდით.

შარშან ეს მართლაც ასე იყო. ასე მოხდა სოფელ ცაიშის საკოლმეურნეო პარტიულ ორგანიზაციაშიც, რომელიც 53 კომუნისტს აერთიანებს. სოფელში არის აგრეთვე ტერიტორიული და სასკოლო პარტიული ორგანიზაციები. გასულ წელს პარტიული განათლების ქსელში მეცადინეობის დაწყებას ისინი მოუმზადებელი შეხვდნენ.

სამაგიეროდ წელს ცაიშში უფრო ადრე და ორგანიზებულად დაიწყეს მზადება ახალი სასწავლო წლისათვის. პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნები და რაიკომის ინსტრუქტორი ბ. ზარქუა ესაუბრნენ კომუნისტებს, რათა გაეგოთ მათი ცოდნის დონე, მათი სურვილი და ამის შემდეგ მიეცათ მათთვის სათანადო რჩევა.

კომუნისტმა ა. ჭეჟიამ საუბარში გულახდილად აღიარა, რომ მართალია, გასულ წელს წიგნზე დამოუკიდებლად მომუშავეთა სიაში ირიცხებოდა, მაგრამ არც მას და არც წიგნზე დამოუკიდებლად მომუშავე სხვა კომუნისტებს პარტიული ორგანიზაცია არავითარ დახმარებას არ უწევდა.

— ახალი სასწავლო წლიდან მსურს პოლიტიკური ეკონომია შევისწავლო, — განაცხადა მან, — რადგან მისი ცოდნა პრაქტიკულ მუშაობაში დამეხმარება.

საკოლმეურნეო პარტიული ორგანიზაციის მდივანმა დ. ჯობავამ, რომელიც კოლმეურნეობაში ხე-ტყის სახერხის გამგედ მუშაობს, სურვილი გამოთქვა იმეცადინოს პოლიტიკური ეკონომიის შემსწავლელ წრეში. ამავე წრეში მეცადინეობის სურვილი განაცხადეს კოლმეურნეობის მეცხოველეობის ფერმების გამგეებმა დ. ქირიამ და ს. ხუხუამ, ბრიგადირმა ა. გარდავამ და სხვებმა, სულ 16 კაცმა.

როდესაც ინდივიდუალური გასაუბრებისას კომუნისტებს დაწვრილებით ესაუბრნენ პარტიული განათლების ყველა ფორმის მუშაობის თავისებურებათა შესახებ, მაშინ 18 კომუნისტმა მიმდინარე პოლიტიკის შემსწავლელ წრეში მეცადინეობის სურვილი გამოთქვა. მათ აღნიშნეს, რომ თავიანთი პოლიტიკური მომზადების დონის მიხედვით ჯერ კიდევ არ შეუძლიათ იმეცადინონ პოლიტიკური ეკონომიის, ფილოსოფიის ან პარტიის ისტორიის შემსწავლელ წრეში.

მარქსისტულ-ლენინური თეორიის დამოუკიდებლად შესწავლის სურვილი გამოთქვა კომუნისტმა თ. ჯოქიამ, რომელიც კოლმეურნეობის ზუხჰალტრის მოადგილედ მუშაობს. მან განაცხადა, რომ შეუძლია დამოუკიდებლად ისწავლოს პარტიის ისტორია და რომ უთუოდ დასჭირდება კონსულტანტის დახმარება. წიგნზე დამოუკიდებლად მუშაობის სურვილი გამოთქვეს სხვა კომუნისტებმაც.

კომუნისტებთან გასაუბრების დროს ისიც გამოირკვა, რომ ავადმყოფობისა და ღრმა მოხუცებულობის გამო წრეში ან წიგნზე დამოუკიდებლად მუშაობის საშუალება არა აქვს 10 კომუნისტს, რომლებიც გათავისუფლებული არიან პარტიული სწავლებიდან. მაგრამ პარტიული ბიუროს გადაწყვეტილებით მათ სისტემატურად გაეცნობათ მიმდინარე პოლიტიკის აქტუალური საკითხები.

ცაიშის ტერიტორიული პარტორგანიზაციის წევრებთან ინდივიდუალური გასაუბრებისას გამოირკვა, რომ მათ არ აკმაყოფილებთ გასული სასწავლო წლის შედეგები. ბევრი კომუნისტი ფორმალურად ირიცხებოდა წიგნზე დამოუკიდებლად მომუშავეთა სიაში. კომუნისტებმა მ. კეკუსაძემ, ო. ფაციამ და სხვებმა, რომლებმაც წიგნზე დამოუკიდებლად მუშაობის სურვილი გამოთქვეს, პარტიული ორგანიზაციისაგან მოითხოვეს მეტი კონკრეტული დახმარება გაეწიოთ მათ კონსულტაციების, თეორიული კონფერენციებისა და გასაუბრების მოწყობით.

ეკონომიური ცოდნის შეძენის დიდი სურვილი აქვთ სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეს ძ. შამუგიას, კურორტის მშენებლობის ინჟინერს ა. ჯოჯუას, კავშირგაბმულობის ცაიშის კანტორის უფროსს დ. შამუგიას და სხვებს.

ცაიშის საშუალო სკოლის პარტორგანიზაციის წევრებმა სურვილი გამოთქვეს, რომ თავიანთ იდეურ-პოლიტიკურ დონეს წიგნზე დამოუკიდებლად მუშაობის მეთოდით აიმაღლებენ. ამასთან გამოირკვა, რომ კომუნისტებს თ. კორკელიას, ქ. მგალობლიშვილს, ლ. ყალიჩავას, ე. ცხადაიას, როგორც მათ განაცხადეს, კონსულტანტის დახმარება ესაჭიროებათ. არიან კომუნისტები, რომლებიც არ მოითხოვენ კონსულტანტის მიმაგრებას, სამაგიეროდ მათ მოითხოვეს, რომ სასწავლო წლის განმავლობაში სისტემატურად მოეწყოს კვალიფიციური ლექციები და გამსვლელი კონსულტაციები.

ახალი სასწავლო წლისათვის მზადება ამით როდი დამთავრებულა. კომუნისტებთან გასაუბრებით პარტორგანიზაციების მდივნებმა და რაიკომის ინსტრუქტორმა მხოლოდ კომუნისტთა სურვილი და მათი შესაძლებლობანი გაიგეს. ამის შემდეგ ამხ. ბ. ზარქუამ შეკრიბა საკოლმეურნეო, ტერიტორიული და სასკოლო პარტორგანიზაციების მდივნები და კომუნისტებთან მოწყობილი ინდივიდუალური გასაუბრების მასალების მიხედვით შეუდგნენ წრეების დაკომპლექტებას, პროპაგანდისტებისა და კონსულტანტების შერჩევას. უწინარეს ყოვლისა დაკომპლექტდა მიმდინარე პოლიტიკის შემსწავლელი წრე, რომელშიც საკოლმეურნეო პარტორგანიზაციიდან გაერთიანებულია 18, ხოლო ტერიტორიული პარტორგანიზაციიდან — 10 კომუნისტი. წრის ხელმძღვანელად შერჩეულია გამოცდილი პროპაგანდისტი ს. კუკავა. პოლიტიკური ეკონომიის შემსწავლელ წრეში გაერთიანებულია 25 კომუნისტი. აქ პროპაგანდისტად იმუშავებს ვ. ჯანჯღავა. სკკპ ისტორიის შემსწავლელ წრეში იმეცადინებს 12 კომუნისტი. წრის პროპაგანდისტად შერჩეულია ზ. კოკაია. წიგნზე დამოუკიდებლად მომუშავეთათვის დახმარების გასაწევად კონსულტანტად გამოყოფილია ვ. ჭითანავა.

სექტემბრის პირველ რიცხვებში სამივე პარტიული ორგანიზაციის კრებებზე კომუნისტებმა განიხილეს საკითხი პარტიული განათლების ქსელში ახალი სასწავლო წლისათვის მზადების შესახებ. კრებებზე დასახულ იქნა პრაქტიკული ღონისძიებანი, რომელთა განხორციელება ხელს შეუწყობს პარტიული განათლების ქსელში ახალი სასწავლო წლის ორგანიზებულად დაწყებას.

ა. კევლიშვილი.

გაგრის თევზის ქარხნის საკონსერვე საამქროს კოლექტივმა პარტიის XX ყრილობის აღსანიშნავად იკისრა მიმდინარე წლის გეგმა გაანაღდოს 5 დეკემბრისათვის. სურათზე: დამფასებელ-ხუფსახურავი განყოფილების მუშა მ. პონომარიოვა, რომელიც ხუფებს ხურავს ყუთებს, ყოველდღიურ დავალებას 120-125 პროცენტით ასრულებს.

სამშენებლო ბრიგადა

ახმეტა. („კომუნისტის“ კორ.). სოფელ ქვემო ალვანის ლენინის სახელობის მილიონერ კოლმეურნეობაში გაჩაღებულია დიდი მშენებლობა. ამ სამუშაოს წარმატებით ასრულებს კოლმეურნეობის სამშენებლო ბრიგადა, რომელსაც ი. ბახტურიძე ხელმძღვანელობს.

უკანასკნელ 2-3 წელიწადში ბრიგადამ აიშენა 200 ტონა სილოსის ტევადობის 11 ორმო და ტრანშეა, გარაჟი, ვეტპუნქტი, ტიპური ბინები მეძროხეობის, მეღორეობისა და მეფრინველეობის ფერმისათვის.

კოლმეურნეობის გამგეობა დიდ ყურადღებას აქცევს ბრიგადის სამშენებლო-მატერიალური ბაზის განმტკიცებას. კოლმეურნეობას აქვს 2 აგურის, 2 კირის, კრამიტისა და ხე-ტყის სახერხი ქარხნები.

ამჟამად ბრიგადა საკოლმეურნეო კლუბისა და კანტორის ორსართულიანი შენობის მოპირკეთებაზე მუშაობს.

წარმოებისაგან მოუწყვეტლივ

ქუთაისი. (საქდესი). ქუთაისის საავტომობილო ქარხნის ბევრი ახალგაზრდა მუშა სწავლობს წარმოებისაგან მოუწყვეტლივ. კიროვის სახელობის საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ქუთაისის სასწავლო პუნქტში და ავტომექანიკურ ტექნიკუმში 200 ახალგაზრდა მუშა სწავლობს, 350 მუშა-ახალგაზრდობის საშუალო სკოლის მოსწავლეა. ბევრი ახალგაზრდა მუშა კვალიფიკაციას იმაღლებს სხვადასხვა ტექნიკურ წრეებში.

ახალგაზრდა მუშების წარმატებითი სწავლებისათვის ყოველგვარი პირობებია შექმნილი. ცვლები დაკომპლექტებულია სასწავლო საათების გათვალისწინებით, მოსწავლეებს ემსახურება ქარხნის ბიბლიოთეკა და ტექნიკური ლიტერატურის ბიბლიოთეკა.

უკეთესად მოვემსახუროთ მშრომელებს

(შემნახველი სალაროების ხელმძღვანელ მუშაკთა რესპუბლიკურ თათბირზე)

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მიერ შეფუშავებული კომუნისტური მშენებლობის გრანდიოზული პროგრამის განხორციელება უდიდეს ფინანსურ რესურსებს, სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებას მოითხოვს.

როგორც ცნობილია, სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლის ძირითად წყაროს სოციალისტური საწარმოებიდან და ორგანიზაციებიდან შემოსული სახსრები წარმოადგენს. ამავე დროს სოციალისტური მშენებლობის დაფინანსების ერთ-ერთი დამატებითი წყაროა მოსახლეობის დანაზოგი სახელმწიფო სესხებისა და შემნახველ სალაროებში მოზიდული ანაბრების სახით.

ნაციონალური შემოსავლის ზრდა, მუშა-მოსამსახურეთა რეალური ხელფასისა და კოლმეურნე გლეხობის შემოსავლის სისტემატური ვადიდება ხელს უწყობს ანაბრების ზრდას. მშრომელებს თავიანთი დანაზოგი სიამოვნებით შეაქვთ შემნახველ სალაროებში, რადგან იციან, რომ ეგი ხელს უწყობს საბჭოთა სახელმწიფოს ეკონომიური ძლიერების განმტკიცებას და ამავე დროს მოსახერხებელი, საიმედო და სასარგებლოა თვით მეანაბრეებისათვის. ამიტომ ოზრდება სისტემატურად მეანაბრეთა რიცხვი და შეტანილი ანაბრების რაოდენობა. ამის ნათელსაყოფად ორიოდე მონაცემის დასახელებაც კმარა: უკანასკნელი ოთხი წლის განმავლობაში სსრ კავშირის შემნახველ სალაროებში შეტანილი ანაბრების რაოდენობა 2,5-ჯერ და უფრო მეტად გაიზარდა, კერძოდ ჩვენს რესპუბლიკაში კი — 2,3-ჯერ.

საქართველოს სსრ შემნახველი სალაროების მიერ მოსახლეობის მომსახურებისა და სახსრების მოზიდვის საკითხს მიეძღვნა შემნახველი სალაროების ხელმძღვანელ მუშაკთა რესპუბლიკური თათბირი, რომელიც გაიმართა 5 სექტემბერს ქ. თბილისში. თათბირს ესწრებოდნენ აგრეთვე საფინანსო დარგის ხელმძღვანელი მუშაკები.

მომხსენებელი — საქართველოს სსრ ფინანსთა მინისტრი ამხ. ბ. ჩხეიძე და კამათში გამოსული შემნახველი სალაროებისა და საფინანსო ორგანოების მუშაკები ხაზგასმით აღნიშნავდნენ, სახელმწიფო სესხებისა და ანაბრების დიდ პოპულარობას მოსახლეობაში, ასახელებდნენ შემნახველ სალაროთა მიერ მოსახლეობის კულტურული მომსახურების კონკრეტულ მაგალითებს. როგორც თათბირზე აღინიშნა, კარგად ემსახურებიან მეანაბრეებს გორისა და თელავის შემნახველი სალაროების მუშაკები. მათ მჭიდრო კავშირი აქვთ მეანაბრეებთან, ყოველთვის დროზე და ზუსტად ასრულებენ მათს დავალებებს, კულტურულად ემსახურებიან როგორც მეანაბრეებს, ისე სახელმწიფო სესხის ობლიგაციების მფლობელებს. სალაროებში ყოველთვის წესრიგია. მათი მუშაკები ხშირად აწყობენ საუბრებს კოლმეურნეებთან შემნახველ სალაროებში დანაზოგების შეტანის სარგებლობასა და საიმედოობაზე მეანაბრეებისათვის. ამიტომ შემთხვევითი არ არის ამ რაიონებში მეანაბრეთა რიცხვისა და შემნახველ სალაროებში შეტანილი დანაზოგების რაოდენობის ზრდა.

კულტურულად ემსახურებიან მეანაბრეებს და მუშაობაში კარგი მაჩვენებლებიც აქვთ ლაგოდეხის, წითელწყაროს და მთელი რიგი სხვა რაიონების შემნახველ სალაროებს.

ამასთან ერთად როგორც მომხსენებელმა, ისე მოკამათეებმა მიუთითეს მეანაბრეთა მომსახურებისა და მოსახლეობის დანაზოგების მიზიდვის საქმეში ჩვენი რესპუბლიკის ზოგიერთი შემნახველი სალაროს მუშაობის ნაკლოვანებებზე. კერძოდ, გააკრიტიკეს ვანის, თერჯოლის, კასპის, ყვარლის, ლენტეხის, მაიაკოვსკის, მესტიის რაიონების შემნახველი სალაროები. ამ რაიონების შემნახველი სალაროებისა და საფინანსო ორგანოების ხელმძღვანელი მუშაკები ხშირად არ გამოდიან მოსახლეობაში მოხსენებებით ანაბრების როლისა და მნიშვნელობის შესახებ. არასაკმაო რაოდენობით აწყობენ საუბრებსა და მოხსენებებს ბოგდანოვკისა და ბოლნისის რაიონების შემნახველ სალაროთა მუშაკებიც. ახალქალაქის, ქუთაისის, საჩხერისა და ზოგიერთი სხვა რაიონის შემნახველ სალაროთა მუშაკები ანაბრების მნიშვნელობის პოპულარიზაციისათვის სუსტად იყენებენ რაიონულ გაზეთებსა და ძირეულ პრესას.

თუმცა უმნიშვნელო რაოდენობით, მაგრამ ზოგიერთ შემნახველ სალაროში მაინც იყო ოპერაციების არაზუსტად წარმოების შემთხვევები.

ანაბრების მოზიდვისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს უნაღდო ანგარიშსწორების ოპერაციების ფართოდ განვითარებას. სამწუხაროდ, ამ საქმეს სათანადო ყურადღებით არ ეკიდებიან ცენტრალური შემნახველი სალაროები და საქართველოს სსრ სახელმწიფო შრომითი შემნახველი სალაროებისა და საბჭოდიტის სამმართველო.

თათბირზე აღინიშნა შემნახველ სალაროთა ქსელის განლაგებაში არსებული ნაკლოვანებანი. ზოგან შემნახველ სალაროთა ქსელი დაცილებულია მოსახლეობას. მშრომელთა უკეთესი მომსახურების ინტერესები მოითხოვენ რესპუბლიკის ზოგიერთ მსხვილ კოლმეურნეობასა და მანქანა-ტრაქტორთა სადგურთან გაიხსნას შემნახველი სალაროები. ზოგჯერ ახალი სალაროების გახსნას თვით ცენტრალური შემნახველი სალაროების გამგეები აჭიანურებენ. ასე მოხდა, მაგალითად, წითელწყაროს და გუდაუთის რაიონებში. კერძოდ გუდაუთის სანატორიუმ „სტროიტელთან“ დღემდე არ არის გახსნილი შემნახველი სალარო, მიუხედავად იმისა, რომ ნებართვა გახსნის შესახებ მიმდინარე წლის მაისის ბოლოს იყო გაცემული.

სიტყვით გამოსულებმა გააკრიტიკეს საქართველოს სსრ სახელმწიფო შრომითი შემნახველი სალაროებისა და სესხრედიტის სამმართველოს მუშაობა. სამმართველოში საკმაო ყურადღება არ ექცევა ანალიზურ მუშაობას, უნდა გაუმჯობესდეს სარეკლამო ღონისძიებანი.

სერიოზული ყურადღება დაეთმო მოწინავე გამოცდილების გაზიარების პრაქტიკულ მუშაობაში ფართოდ დანერგვის, შემნახველ სალაროთა მუშაკების კვალიფიკაციის ამაღლების საკითხებს.

სიტყვა წარმოთქვა სსრ კავშირის სახელმწიფო შრომითი შემნახველი სალაროებისა და სახსრედიტის მთავარი სამმართველოს უფროსმა ამხ. პ. დმიტრიჩევმა.

თათბირმა დასახა პრაქტიკული ღონისძიებანი. შემნახველი სალაროების მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა გამოსწორებისა და მეანაბრეთა მომსახურების გადაჭრით გაუმჯობესებისათვის.

წყალსადენი კოლმეურნეობაში

ქარელი. (საკ. კორ.). სოფელ ზემო ხვედურეთის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის წევრთა საერთო კრებამ გამოიტანა დადგენილება სასმელი წყლით სოფლის მოსახლეობის უზრუნველყოფის შესახებ. კოლმეურნეთა აქტიური შრომის შედეგად ხუთი კილომეტრის მანძილიდან გამოყვანილ იქნა სუფთა სასმელი წყალი, რაზეც 200 ათასი მანეთი დაიხარჯა.

ამჟამად სოფლის ცენტრში მოწყობილია სასმელი წყლის შადრევანი. შადრევნები გაყვანილ იქნება კიდევ სოფლის ხუთ უბანში, აგრეთვე მეცხოველეობის ფერმებში.

პოლიტიკური მუშაობა მექანიზაციორებთან

ბადიაურის მტს-ის მექანიზატორები დიდი ენთუზიაზმით ჩაებნენ სკკპ XX ყრილობის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში და გააჩაღეს ბრძოლა მომავალი წლის უხვი მოსავლისათვის. მტს-ის კომუნისტებმა უპარტიო აქტივისტებთან ერთად პარტიულ კრებაზე გულდასმით განიხილეს. საშემოდგომო ხვნა-თესვის ჩატარების საკითხი. კრებამ დასახა სათანადო ღონისძიებანი და გადაწყვიტა საშემოდგომო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა ვადამდე დამთავრებისათვის სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვიოს კაჭრეთის მტს-ი.

პარტიულმა ორგანიზაციამ გაშალა მუშაობა მიღებული დადგენილების შესასრულებლად. მტს-ის ზონის კოლმეურნეობებში გაჩაღებულია საშემოდგომო ხვნა. სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურდნენ მეორე, მეოთხე, მეხუთე, მეშვიდე და მეცხრე სატრაქტორო ბრიგადები. მექანიზატორთა შორის მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის გასაძლიერებლად პარტიბიურომ დამატებით გამოჰყო აგიტატორები. აგიტატორები ზ. ქიტიაშვილი, ვ. ხელაშვილი, ი. კვაზერელი, ი. ზუკაკიშვილი, მ. ჩოთალიშვილი ღრმად გახუმარტავენ მექანიზატორებს სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობისათვის პარტიისა და მთავრობის მიერ დასახულ ღონისძიებებს და ამ ღონისძიებებიდან გამომდინარე ამოცანებს. მტს-ში სისტემატურად გამოდის კედლის გაზეთი, ხოლო მინდვრად სატრაქტორო ბრიგადებში — საველე გაზეთები.

გ. ზირაქიშვილი,
ბადიაურის მტს-ის პარტბიუროს მდივანი.

გულგარელი ხალხი ცხოვრების ახალ გზაზე

1944 წლის 9 სექტემბერი, როგორც განთავისუფლების დღე და ეროვნული დღესასწაული, ოქროს ასოებით არის ჩაწერილი ბულგარელი ხალხის ისტორიაში.

თერთმეტი წლის წინათ ბულგარეთის მშრომელებმა თავისი დიადი კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით დაამხეს მონარქიულ-ფაშისტური რეჟიმი და თავის ქვეყანაში დაამყარეს სახალხო-დემოკრატიული წყობა. სახალხო ხელისუფლებას სათავეში ჩაუდგა მუშათა კლასი.

მძიმე და უსიხარულო იყო ბულგარელი ხალხის ცხოვრება განთავისუფლებამდე. ათასობით ადამიანი სამუშაოს ან ლუკმა-პურის საშოვნელად დღედაღამ დაეხეტებოდა ბულგარეთის ქალაქებსა და სოფლებში. დიდი გადასახადები და აუტანელი საყოფაცხოვრებო პირობები მძიმე ტვირთად აწვა მშრომელ ხალხს. მასობრივი უმუშევრობა და სიღატაკე მძვინვარებდა მაშინ ბულგარეთში.

დადგა ბულგარელი ხალხისათვის სანუკვარი დღე. მამაცი საბჭოთა არმიის დახმარებით ბულგარელმა ხალხმა თავისი სამშობლო გათავისუფლა ჰიტლერელი დამპყრობლების მძიმე უღლისაგან. სახალხო ხელისუფლებამ ბოლო მოუდო მშრომელი ხალხის დუხჭირ ცხოვრებას, წარსულს ჩაბარდა სიღატაკე და უმუშევრობა.

ამჟამად ბულგარეთი თავისუფალი და დამოუკიდებელი სახელმწიფოა, რომელიც განუხრელად ახორციელებს ხალხთა შორის მშვიდობისა და მეგობრობის, საერთაშორისო თანამშრომლობის პოლიტიკას.

თერთმეტი წელიწადი ისტორიული პერიოდის არც თუ ისე დიდი მონაკვეთია. მაგრამ ამ ხნის განმავლობაში ბულგარელმა ხალხმა თავისი თავდადებული შრომით დიდ წარმატებებს მიაღწია სახალხო მეურნეობის ყველა დარგში. როგორც ცნობილია, ბულგარეთი ჩამორჩენილი აგრარული ქვეყანა იყო. ახლა იგი გადაიქცა ინდუსტრიულ-აგრარულ ქვეყნად, სადაც განხორციელებულია ღრმა პოლიტიკური, ეკონომიური და სოციალური გარდაქმნები. ქვეყნის ინდუსტრიალიზაციამ გაამრავლა მისი საგარეო ვაჭრობის საშუალებანი. თუ 1949 წელს ბულგარეთის საექსპორტო საქონლის სიაში შეტანილი იყო 140 სახეობის საქონელი, ამჟამად შეტანილია 600-მდე სახეობისა — სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები, მანქანათმშენებლობის, ქიმიური, საფეიქრო, ხისდამუშავებელი და მრეწველობის სხვა დარგების პროდუქცია. ამ გარემოებამ ბულგარეთს შეუქმნა პირობები გაეფართოებინა ეკონომიური ურთიერთობა სხვა სახელმწიფოებთან. მაგალითად, უკანასკნელ 10 წელიწადში ბულგარეთის საქონელბრუნვა გაიზარდა ორნახევარჯერ და უფრო მეტად. ამჟამად მას სავაჭრო ურთიერთობა აქვს 40 ქვეყანასთან, აქედან 26 ქვეყანასთან დადებული აქვს სავაჭრო ხელშეკრულება.

სახალხო ხელისუფლების წლებში ბულგარელმა ხალხმა დიდი წარმატებები მოიპოვა სოციალიზმის მშენებლობაში. ბულგარეთის მშრომელები კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით აშენებენ ახალ, ბედნიერ ცხოვრებას, ყოველდღიურად განმტკიცებენ თავიანთი სამშობლოს ეკონომიურ ძლიერებას. თერთმეტი წლის განმავლობაში აშენებულია და რეკონსტრუირებულია ასობით საწარმო, შეიქმნა მრეწველობის მთელი რიგი ახალი დარგები. ბულგარეთის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ცნობით, სამრეწველო პროდუქციის წარმოების 1955 წლის მეორე კვარტალის სახალხო-სამეურნეო გეგმა შესრულებულია 104,1 პროცენტით. მიმდინარე წლის მეორე კვარტალში 1954 წლის ამავე პერიოდთან შედარებით ელექტროენერგიის წარმოება გაიზარდა 18 პროცენტით, ქვანახშირის მოპოვება — 13 პროცენტით, რკინის მადნისა — 34 პროცენტით, ფოლადის წარმოება — 19 პროცენტით და სხვ.

დიდი ძვრები და ცვლილებები მოხდა ბულგარეთის სოფლის მეურნეობაში. განთავისუფლებამდე ბულგარეთი ცნობილი იყო როგორც პრიმიტიული სოფლის მეურნეობის ქვეყანა. ბულგარელი გლეხის მთავარი იარაღები იყო ხის კავი და გუთანი. ბულგარეთის განთავისუფლებამ ფაშისტური უღლისაგან სოფლის მეურნეობას სწრაფი განვითარების გზა გაუხსნა. მშრომელი გლეხობის ძირითადი მასები შევიდნენ შრომითის კოოპერაციულ-სამეწარმეო მეურნეობებში. კოოპერაციულ მეწარმეობაში ფართო გამოყენება ჰპოვა სასოფლო-სამეურნეო მანქანებმა, ფართოდ ინერგება აგრეთვე ახალი აგროტექნიკა. მტს-ების საშუალებით სახელმწიფო ამარაგებს სოფელს ახალი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკით. 15.000-ზე მეტი ტრაქტორი, 2.000-ზე მეტი კომბაინი და ათასობით სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანები დახმარებას უწევს სოფლის მცხოვრებთ, რომელნიც თავდადებულად შრომობენ უხვი მოსავლის მიღებისათვის. ბულგარეთის მშრომელი გლეხობის წარმატებებს ისიც მოწმობს, რომ მტს-ებმა შესასრულეს საგაზაფხულო თესვის გეგმა და დათესეს 12 პროცენტით მეტი, ვიდრე შარშან. მიმდინარე წლის მეორე კვარტალში სოფლის მეურნეობამ მიიღო 979 ახალი ტრაქტორი (15-ძალიანზე გადაყვანით), 352 მარცვლეულის ასაღები კომბაინი (მათ შორის 298 სამამულო წარმოებისა) და დიდი რაოდენობით სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანები.

ამჟამად ბულგარეთის მშრომელები ახორციელებენ მეორე ხუთწლიან გეგმას (1953-1957 წ. წ.), რომელიც ითვალისწინებს მთელი სახალხო მეურნეობის მკვეთრ აღმავლობას და მშრომელთა კეთილდღეობის შემდგომ ამაღლებას.

მეორე ხუთწლედის ბოლოს გათვალისწინებულია მრეწველობის საერთო პროდუქციის გაზრდა 1952 წელთან შედარებით დაახლოებით 60 პროცენტით. მუშა-მოსამსახურეთა საბინაო-საყოფაცხოვრებო პირობების გასაუმჯობესებლად მეორე ხუთწლედში პირველ ხუთწლედთან შედარებით გათვალისწინებულია თითქმის 4-ჯერ გაზარდოს საცხოვრებელი სახლების მშენებლობა. ამ ხნის განმავლობაში მუშა-მოსამსახურეთა რეალური ხელფასი, აგრეთვე მშრომელი გლეხობის შემოსავალი უნდა გადიდდეს სულ მცირე 40 პროცენტით.

ბულგარეთში დღითიდღე უმჯობესდება მშრომელთა კეთილდღეობა, ვითარდება მეცნიერება, ხელოვნება და ლიტერატურა. იფურჩქნება ბულგარელი ხალხის ეროვნული კულტურა, რომელიც ხალხის კუთვნილება გახდა.

თავისუფალი ცხოვრების წლებში ბულგარეთმა შესანიშნავი მიღწევები მოიპოვა სახალხო განათლების დარგში. ამჟამად თითქმის ყველა დასახლებულ პუნქტში გახსნილია სკოლა. 107 საღამოს სკოლაში 17 ათასამდე მუშა და მოსამსახურე იღებს განათლებას წარმოებას მოუწყვეტლივ. გამრავლდა უმაღლეს სასწავლებელთა რიცხვი. თუ 1939 წელს ბულგარეთში მხოლოდ 5 უმაღლესი სასწავლებელი იყო, სადაც 9.800 სტუდენტი სწავლობდა, ამჟამად 20 უმაღლეს სასწავლებელში 30 ათასზე მეტი სტუდენტი სწავლობს.

ბულგარეთში სოციალიზმის საფუძვლების მშენებლობაში მიღწეული დიდი წარმატებები შედეგია ბულგარეთის კომუნისტური პარტიის სწორი პოლიტიკისა. ბულგარეთის კომუნისტურ პარტიას, რომელიც თავის მოღვაწეობაში ხელმძღვანელობს მარქს — ენგელს — ლენინ — სტალინის უოველისმძლე მოძღვრებით და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მსოფლიო-ისტორიული გამოცდილებით, ახალ-ახალი გამარჯვებებისაკენ მიჰყავს მშრომელი ბულგარელი ხალხი. ბულგარეთის მუშათა კლასის, მშრომელი გლეხობის და სახალხო ინტელიგენციის თავდადებული შრომა, ძმური, ყოველმხრივი და უანგარო დახმარება, რომელსაც საბჭოთა კავშირი ბულგარეთს უწევს, სახალხო დემოკრატიის ქვეყნებთან მტკიცე თანამშრომლობა საწინდარია დიდი წარმატებებისა ახალი ცხოვრების მშენებლობაში, რომელსაც ბულგარელი ხალხი ეწევა.

საბჭოთა კავშირისა და ბულგარეთის ხალხები მჭიდროდ არიან ერთმანეთთან დაკავშირებულნი მრავალსაუკუნოვანი მეგობრობით და თავიანთი თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ერთობლივი ბრძოლით. ეს მეგობრობა და თანამშრომლობა განსაკუთრებით განმტკიცდა ფაშისტ დამპყრობთა განადგურების შემდეგ. საბჭოთა კავშირი და ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკა თანმიმდევრულად და განუხრელად ახორციელებენ მშვიდობის პოლიტიკას და იბრძვიან საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისათვის. ამ პოლიტიკას მათთან ერთად იცავენ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა, სახალხო დემოკრატიის ყველა ქვეყანა და ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხი.

მსოფლიოს მშვიდობისმოყვარე ძალების შეუპოვარი ბრძოლის შედეგად, რომელსაც მეთაურობს საბჭოთა კავშირი და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა, რამდენადმე შენელდა საერთაშორისო დაძაბულობა. შეიქმნა უფრო ხელსაყრელი პირობები საერთაშორისო სადავო საკითხების მშვიდობიანი გზით მოგვარებისათვის. ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკა და სახალხო დემოკრატიის ყველა ქვეყანა დიდი მოწონებით შეხვდნენ საბჭოთა კავშირსა და იუგოსლავიას შორის ურთიერთობის ნორმალიზაციას. ბულგარელი ხალხი მხურვალედ მიესალმა საბჭოთა კავშირ-იუგოსლავიის მოლაპარაკებისა და ჟენევის თათბირის შედეგებს.

ბულგარელი ხალხი კომუნისტური პარტიის ნაცადი ხელმძღვანელობით მტკიცედ მიდის სოციალიზმის გზით. მისი წარმატებები დიდი წვლილია მთელი მსოფლიოს ხალხთა საერთო ბრძოლაში საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისათვის, მშვიდობისათვის.

ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკა მტკიცედ და განუხრელად დგას მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის ბანაკში, რომელსაც სათავეში უდგას დიდი საბჭოთა კავშირი.

ეროვნული დღესასწაულის დღეს, 9 სექტემბერს, მთელი საბჭოთა ხალხი, სახალხო დემოკრატიის ქვეყნები და მსოფლიოს მშვიდობისმოყვარე ხალხები ახალ წარმატებებს უსურვებენ ბულგარელ მშრომელებს სოციალიზმის მშენებლობაში.



ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკა. დიმიტროვგრადის სტალინის სახელობის ქიმიური კომბინატის საერთო ხედი. ბტა-ს ფოტო — პრესფოტო.

გ. ტატიშვილი.

სანიმუშოდ მოვემზადოთ პირუტყვის გამოზამთრებისათვის

ჩვენი რესპუბლიკის მეცხოველეთა წინაშე დგას გადაუდებელი ამოცანა — დროზე მოემზადონ პირუტყვის სანიმუშოდ გამოზამთრებისათვის, უზრუნველყონ პირუტყვის სულადობის მთლიანად შენარჩუნება, ყველა კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში მიაღწიონ მეცხოველეობის პროდუქტიულობის მკვეთრ გადიდებას.

ამის მთავარი პირობა ის არის, რომ თვითეულმა კოლმეურნეობამ და საბჭოთა მეურნეობამ შეასრულოს საკვების დაგროვების გეგმა, უხვად მოიმარაგოს უხეში, წვნიანი და კონცენტრირებული საკვები, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს სიმინდის ცალცალკე აღებასა და დახილოსებას.

მეცხოველეთა ღვიძლი საქმეა პირუტყვის ბაგური მოვლა. შენახვაზე დაყენებამდე დაამთავრონ მეცხოველეობის სადგომების მშენებლობა, უზრუნველყონ პირუტყვი სუფთა, ნათელი და თბილი სადგომებით.

კოლმეურნეები მოვალენი არიან არსებული საკვები წესიერად შეინახონ და ყაირათიანად გამოიყენონ, პირუტყვის გამოზამთრების დაწყებამდე საჭირო რაოდენობით მიზიდონ უხეში საკვები მეცხოველეობის ფერმებთან.

მალე დაიწყება ცხვრის გადარეკვა ყიზლარის საზამთრო საძოვრებზე. მომთაბარე მეცხვარეობის რაიონების მუშაკებმა ამთავითვე სასწრაფო ზომები უნდა მიიღონ საზამთრო საძოვრებზე თივისა და სხვა უხეში საკვების სადაზღვევო მარაგის შესაქმნელად.

მთელი რიგი კოლმეურნეობები კარგად ემზადებიან საზამთრო საძოვრებზე ცხვრის ორგანიზებულად გადარეკვისათვის. ამასთან ფაქტები მოწმობენ, რომ ყიზლარის საზამთრო საძოვრებზე არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს სადგომების მშენებლობა, ბევრი რამ გასაკეთებელია მწყემსთა საყოფაცხოვრებო პირობების გასაუმჯობესებლად.

დღეს ჩვენ ვაქვეყნებთ მასალებს ყიზლარის საზამთრო საძოვრებზე პირუტყვის გამოზამთრებისათვის მზადების მიმდინარეობაზე და მასთან დაკავშირებულ აქტუალურ საკითხებზე.

ტრამალეგის სამეფოში

1. დაძაგული შრომის დღეები

ნოღაის ველზე მთელი ზაფხულის განმავლობაში ძლიერი გვალვა იდგა. შუა აზიის უდაბნოებიდან წამოსულმა ხორშაკმა გადაიბმა ბალახი, დააშრო გუბურები. უდაბნოთა სუნთქვა ირძნობოდა ყველგან — ბაჯიგანში და ბირუზიაკზე, თერეკლესა და იმეორსკაიასთან. შედარებით კარგი მდგომარეობა იყო მდინარე ყუმის, ზღვისპირეთის და ტრასის რაიონებში. აქ მაისშივე შეიძლებოდა თივის დამზადება, მაგრამ ჩვენი რესპუბლიკის ზოგმა კოლმეურნეობამ ვერ გამოიყენა ეს შესაძლებლობა. საკვების დასამზადებლად სხვებზე უკეთ იმუშავეს თიანეთის, ახმეტის და დუშეთის რაიონების მოწინავე კოლმეურნეობებმა, რომლებმაც ჩრდილოეთ კავკასიაში საქართველოს მეცხოველეობის სამთანქონო სადგურის მექანიზატორების დახმარებით მნიშვნელოვნად გაზარდეს თივის სადაზღვევო მარაგი.

ამჟამად მომთაბარე მეცხვარეობის ყველა რაიონს ნოღაის ველზე აქვს საკმარისი თივა, რომლის ძირითადი ნაწილი მიზიდულია ცხვრის სადგომებთან. მოსაგვარებელი დარჩა ერთი საკითხი — ეს არის ბინების მშენებლობისა და რემონტის საქმე.

შარშან დიდი სამუშაოები შესრულდა პირუტყვის მთელი სულადობისა და მწყემსთათვის კულტურულად მოწყობილი ბინების მშენებლობისათვის, მაგრამ წლევანდელი კარგი ღონის შედეგად დიდად გაიზარდა ცხვრის სულადობა და ასევე გაზრდება მოზამთრე მეცხვარეთა რიცხვიც. ამიტომ საჭიროა ახალი ბინების სწრაფი ტემპით მშენებლობა და ძველის რემონტი.

ბევრმა კოლმეურნეობამ ამ საქმეს დროზე მოჰკიდა ხელი. სამაგალითოა დუშეთის რაიონის ჭარხლის, ჩარგლის და სხვა კოლმეურნეობათა მუშაობა. მათ მოკლე ხანში დაამთავრეს ახალი ბინების აგება და ძველის შეკეთება. დუშელებმა მშენებლობასთან ერთად ცხვრის სადგომები გაწმინდეს ნაგვისაგან, გაუკეთეს დეზინფექცია, მოიმარაგეს საჭირო ინვენტარი და მზად არიან მიიღონ მწყემსები, რომლებიც ზამთარს აქ გაატარებენ.

ბინათმშენებლობისათვის გარკვეული მუშაობა გასწიეს ახმეტის, თიანეთისა და ლენინგორის მეცხოველეებმა, მაგრამ ეს საკმარისი არ არის. საკვირველია, რომ ნოღაეთის მთელ მასივზე არის ბინები, რომლებისთვისაც გაზაფხულს შემდეგ არავის მიუხედავს. ჩანს ზოგიერთი რაიონის ხელმძღვანელი ორგანოები დაკმაყოფილდნენ შარშანდელი წარმატებით და ჯერ არ ფიქრობენ ახალი ბინების მშენებლობასა და არსებულის რემონტზე. აბა რით უნდა გაიმართლონ თავი ჯავისა და ყაზბეგის რაიონების კოლმეურნეობათა ხელმძღვანელებმა, რომლებსაც ამ საქმისათვის ჯერ არც ერთი კაცი არ გაუგზავნიათ?

მოახლოვდა ცხვრის საზამთრო საძოვრებზე გადარეკვის დრო. საჭიროა ყველაფერი ახლავე მოგვარდეს და არავითარ შემთხვევაში არ გამეორდეს წარსულ წლებში დაშვებული შეცდომები. გაწა დრო არ არის სრულდ მომარაგდნენ ფერმები საჭირო პროდუქტებით, ინვენტარით და სხვა აუცილებელი საგნებით?

კვლავ არადამაკმაყოფილებლად მუშაობს ცეკავშირის საცალო ვაჭრობა. საძოვრების ძირითად რაიონში — ბაჯიგანში ჯერ კიდევ არ მიუზიდავთ ფქვილისა და სხვა პროდუქტების საკმაო მარაგი, მაღაზიებში არ მოიპოვება მეცხვარეთათვის აუცილებელი საქონელი, სერთოდ საცალო ვაჭრობა მძიმე ფინანსურ მდგომარეობაშია და მას ცეკავშირის გამგეობამ განსაკუთრებული დახმარება ეუაროს, რაც ჯერჯერობით არ იგრძნობა.

ცხვრის ნორმალური გამოზამთრების ბედი ახლა წყდება. საჭიროა ნაყოფიერად გამოვიყენოთ დარჩენილი დრო. ეს დღეები ყველა ფერმის მუშაკთათვის ნამდვილად დაძაბული შრომის დღეები უნდა იყოს.

2. „მეუდაბნოენი"

ჩორნი რინოკიდან ოცდაორ კილომეტრზე, რკინიგზის გადადმა მდებარე სახლში წვერგაუპარსავი ხნიერი კაცი ვნახეთ. დუშეთის რაიონის ჭარხლის კოლმეურნეობის წევრი პაღლე ნარიმანიძე მთელ ზაფხულს თურმე აქ მარტო ატარებს, შენობას ყარაულობს და არტეზიულ ჭასთან დათესილ ბაღჩას უვლის.

— აპრილს შემდეგ აქა ვარ. წავიდნენ მწყემსები და მარტო დავრჩი, გამოვყოფილი კაცი... — ამბობს პაღლე. გაზეთის ნახვაში გაჩვეულ წკეოს ფემრიელად ამოლებს და ხუმრობით დასძენს:

— გეთაყვა, აბა რითი არა ვარ მეუდაბნოე?

სამუშაროდ, პაღლესთანა „მეუდაბნოე" ნოლაეთში ერთი, და ორი როდია. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ბევრი კოლმეურნეობა ჯერ კიდევ საკმარისად არ ზრუნავს რიგითი ადამიანების საჭიროებისათვის, სრულად არ იყენებს იმ დიდ შესაძლებლობებს, რაც კასპიისპირეთშია.

ავიღოთ კასპიისპირეთში თივის დამზადების საკითხი. ყველამ იცის, რომ ეს საქმე კეთდება ყოველწლიურად, ამ საქმეში ჩამორჩენას დიდი ზიანი მოაქვს საზოგადოებრივი მეცხოველეობისათვის. ახლა ვიკითხოთ — შრომის ისეთი ორგანიზაციის პირობებში, რაც მომთაბარე მეცხვარეობის კოლმეურნეობებშია, შესაძლებელია თუ არა ამ გადაუდებელი საქმეების ყოველთვის თავის დროზე მოგვარება? გულახდილად რომ ვთქვათ, არა.

არის წლები, როცა ეს სამუშაო ადრე იწყება, ზოგჯერ კი გვიან. ეს დამოკიდებულია ბუნებაზე, კერძოდ წვიმებზე. საკმარისია ორისამი დღის წვიმა და ბალახი სწრაფად იწყებს ზრდას. საჭირო ხდება თიბვის დაუყოვნებლივ დაწყება, მაგრამ სწორედ ასეთ დროს ნოღაეთში „მეუდაბნოეთა" გარდა სხვა არავინ არის. იწყება დეკეშების გზავნა საძოვრების სამმართველოდან თბილისში — საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროში, იქიდან რაიონების ხელმძღვანელ ორგანოებში, შემდეგ ბალახის ამბავს ატყობინებენ კოლმეურნეობებს. ფუსფუსებენ. საჭირო ხდება მუშახელის გამოძახება, ფულისა და ინვენტარის გამოყოფა, ტრანსპორტის ძებნა. იერიშობანაში გადის დღეები, ბალახი თანდათანობით ხმება და კარგავს ძვირფას თვისებებს. ასე გრძელდება წლობით, ასე მოხდა მიმდინარე წლის გაზაფხულზეც. ანალოგიური მდგომარეობა ბინების მშენებლობისა და რემონტის საქმეშიც.

იბადება კითხვა — შეიძლება თუ არა უკეთ მოეწყოს ეს საქმე? რა თქმა უნდა, შეიძლება, თუ კი მოვინდომებთ.

ჩვენი აზრით, მიზანშეწონილია თვითეულ კოლმეურნეობას, რომელიც მომთაბარე მეცხვარეობას ეწევა, გაზაფხულიდან დაწყებული შემოდგომამდე საზამთრო საძოვრებზე ჰყავდეს ერთი მუდმივი ბრიგადა მაინც, რომელსაც დაევალებოდა თივის თავის დროზე აღება, ბინების მშენებლობა და რემონტი. ბრიგადის წევრებს, როგორც იტყვიან, საქმე ყელამდე ექნებოდათ და აღიკვეთებოდა დეპეშების, მიწერმოწერისა და მითითებათა ნიაღვარი, სამუშაო შესრულდებოდა შედარებით სწრაფად და იაფად. სხვათა შორის, საჭირო აღარ იქნებოდა ისეთი „მეუდაბნოენი", რომლებიც ახლა თითქოს ყველასგან დავიწყებული გაფანტულან ნოღაის უზარმაზარ ტერიტორიაზე.

საგულისხმოა სტავროპოლის მხარის, ასტრახანის და გროზნოს ოლქების მეცხვარეთა მაგალითი. ისინი ზამთარ-ზაფხულს „შავ მიწებზე" ატარებენ და ბეჯითად შრომობენ. რატომ? იმიტომ, რომ მათ საძოვრებზე ყველაფერი აქვთ ადამიანის ნორმალური არსებობისათვის. რატომ არ შეიძლება საქართველოს მეცხვარეებსაც ისეთი პირობები შეუქმნათ, რომ ისინიც ზამთარ-ზაფხულს ნოღაეთში თავს ისე გრძნობდნენ, როგორც მშობლიურ სოფელსა და საკუთარ სახლში?

ყოველი საქმის ბედს ცოცხალი ადამიანები წყვეტენ. საჭიროა რაიონის ხელმძღვანელმა ორგანოებმა ნამდვილად ყოველდღიურად იზრუნონ ადამიანებისათვის. საამაყოა, რომ საზამთრო საძოვრებზე პარტიულ-პოლიტიკურ მუშაობას ჯერ კიდევ ყურადღება არ ექცევა. საჭიროა პარტიის რაიკომებმა იზრუნონ ამ მდგომარეობის გამოსწორებისათვის.

3. ოქროს ტარიფები

ვრცელია ნოღაის ველი.

ათეულ ათასობით ჰექტარს მოიცავს მისი თვალუწვდენელი სივრცეები. უყურეთ ერთ-ფეროვან, ადგილ-ადგილ ქვეშით დაფარულ მორუხო ველებს და უნებურად ფიქრი გიპყრობთ — რა იქნება, როცა ეს მინდვრები წყურვილს მოიკლავს. ნოღაის მიწა ხომ მეტისმეტად ნოყიერია და როცა მას საკმარისი წყალი ექნება, აქ თავისუფლად იხარებს პური, სმინდი, ვაზი, კარტოფილი და კულტურულ მცენარეთა მრავალი სახეობა.

ამას მოწმობს ის შესანიშნავი თაოსნობა, რაც მიმდინარე წელს საქართველოს ზოგიერთი კოლმეურნეობის მეცხვარეებმა გამოიჩინეს.

ლაპარაკია არტეზიულ ჭებთან გაშენებულ ბაღჩებსა და სიმინდის ყანებზე, რომლებიც კასპიისპირეთის ნაბევრადუდაბნოში ოაზისებს მოგაგონებთ...

ფართოდ გავრცელებისა და მზარდაჭერის ღირსია დუშეთის რაიონის ლაფანაანთკარის და ჭართლის კოლმეურნეობათა მაგალითი. მათ წელს აქ პირველად დათესეს სიმინდი, კარგად მოუარეს და უეჭველია მაღალ მოსავალსაც მიიღებენ.

ლაფანაანთკარის მწყემსთა საცხოვრებელი სახლის მახლობლად, იქ, სადაც არტეზიული სიმინდის ექვსი ჰექტარი ყანა. სიმინდი იმდენად მაღალია, რომ ყანაში ცხენოსანი კაცი დაიმალება.

მთელი დღე ტრიალებს ყანაში მოხუცი კოლმეურნე გიგო წიკლაური. სიყვარულით რწყავს ნაკვეთს, მზრუნველობას არ აკლებს თვითეულ ღეროს. ისინიც მკლავის ოდენა ტაროებით დამძიმებულან.

მთელი ზაფხული გაატარა აქ გიგო წიკლაურმა. მასთან არის კოლმეურნეობის თავმჯდომარის მოადგილე ვანო ციხიშვილი. ლაფანაანთკარელებს ბაღჩაც აქვთ. არის საზამთრო, ნესვი, კარტოფილი. გიგო და ვანო საძოვრებზე მომავალ მწყემსებს კიტრის მწნილს უმზადებენ და გვპირდებიან, რომ ნაკვეთზე მიღებული მოსავლით სავსებით დააკმაყოფილებენ მეცხვარეებს.

აქ ჰექტარზე შვიდ ტონა მოსავალს მოელიან. ეს იმას ნიშნავს, რომ ლაფანაანთკარელები ორმოც ტონაზე მეტ სიმინდს მიიღებენ. თუ ამას სხვა კულტურების მოსავალს დავუმატებთ, ცხადი გახდება, რამდენად დიდი მნიშვნელობა ექნება ყველა კოლმეურნეობაში არტეზიულ ჭებთან ბაღჩეულისა და სიმინდის მოყვანას.

ჯერჯერობით კი ამ საქმეს საკმარისი ყურადღება არ ექცევა. ზოგიერთი კოლმეურნეობის ნაკვეთები კერძო პირებს აქვთ ჩაბარებული და მეცხვარეები არავითარ შემოსავალს არ იღებენ.

ლაფანაანთკარელთა გამოცდილება ფართოდ უნდა გავავრცელოთ. ყველა ფერმაში არის შესაძლებლობა, რომ მწყემსებს მთელი ზამთრის განმავლობაში ჰქონდეთ ნოღაეთში მოყვანილი სიმინდი, კარტოფილი, კომბოსტო... მხოლოდ ამისათვის საჭიროა სურვილი და მონდომება.

• • •

მალე ჩვენი რესპუბლიკის ცხვარი საზამთრო საძოვრებისაკენ დაიძვრება. ახლა ძვირფასია თვითეული დღე, თვითეული საათი. დარჩენილი დრო ისე უნდა იქნას გამოყენებული, რომ აქ ჩამოსულ მწყემსებს ყველაფერი ჰქონდეთ ცხვრის საუკეთესოდ გამოზამთრებისათვის.

ა. თოდაძე,
„კომუნისტის" სპეც. კორესპონდენტი,
ჩორნი რინოკი, გროზნოს ოლქი.

საქართველოს საზამთრო საძოვრების სამმართველოს უფროსი ჩრდილოეთ კავკასიაში ამხ. დ. ანდღულაძე და დუშეთის რაიონის ბოგოსკომის თავმჯდომარე შ. მწითური ათვალიერებენ დუშეთის რაიონის სოფელ ლაფანაანთკარის კოლმეურნეობის სიმინდის ყანას. ცენტრში — კოლმეურნე გ. წიკლაური.

ფოტო ე. ამბროშკევიჩისა.

ჩვენი საზრუნავი

გუდამაყრის კოლმეურნეობა მეცხოველეობის ყველაზე მსხვილი კოლმეურნეობაა დუშეთის რაიონში. შარშან ჩვენ ბაჯიგანის მასივზე მივიღეთ ახალი საძოვრები, სადაც ავაშენეთ სამი სახლი ხუთ-ხუთი განყოფილებით, აბანოებითა და სამზარეულოებით. ცხვრის მთელი სულადობა უზრუნველყავით სადგომებით, სამატყნეებითა და საჩვილეებით, დავაგროვეთ იმაზე მეტი საკვები, რასაც სადაზღვევო მარაგი მოითხოვს.

როგორც პრაქტიკამ გვიჩვენა, ცხვრის წარმატებით გამოზამთრებისათვის აუცილებლად საჭიროა საკვები და კეთილმოწყობილი ბინები, დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე არტეზიული ჭის სიახლოვეს. გავითვალისწინეთ რა წარსული წლების გამოცდილება, დროზე შევუდექით საკვების დამზადებას და ბინათმშენებლობას. ამჟამად ბინებთან მიტანილი და დაზვინული გვაქვს 25.694 ცენტნერი თივა, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 22 ათასი ცენტნერისა. სწრაფი ტემპით მიმდინარეობს ორი სტანდარტული ტიპის ფარეხის და სამი ახალი სახლის მშენებლობა.

ამ სამუშაოებს მთლიანად დავამთავრებთ სექტემბრის ბოლომდე. შეიძლებოდა უფრო ადრეც დაგვემთავრებინა, მაგრამ საზამთრო საძოვრებზე თითქმის სრულიად არ იშოვნება კირი, ფიცარი, შიფერი და სხვა აუცილებელი მასალები. ცეკავშირმა მშენებლობას გამოუგზავნა დაბალხარისხოვანი ხე-ტყე. ამასთან მეცხოველეობის სამანქანო სადგურის სახერხი დანადგარი ხშირად გაჩერებულია და მასალის დამზადებას ვერ ასწრებს. საზამთრო საძოვრებზე ახალი სახერხი აგრეგატი უნდა დაედგათ, მაგრამ ეს დავალება შესრულებული არ არის.

ი. ფიკლაური,
დუშეთის რაიონის გუდამაყრის კოლმეურნეობის თავმჯდომარის მოადგილე.

კოლმეურნეთა პრეტენზიები

გროზნოს ოლქის საზამთრო საძოვრებზე ჩვენი კოლმეურნეობიდან იმყოფებოდა საკვებმოპოვების ბრიგადა 21 კაცის შემადგენლობით. მართალია, წელს გვალვა იყო, მაგრამ ჩვენ მაინც შევძელით ტრასის გასწვრივ დაგვემზადებინა 500 ტონაზე მეტი მაღალხარისხოვანი საკვები.

პირუტყვის საკვების დამზადებასთან დაკავშირებით მომთაბარე მეცხვარეობის კოლმეურნეობებისათვის უნდა გამოეყოთ ავტოსახურავები და სხვა ნაწილები. ამ მითითებას ცეკავშირის საცალო ვაჭრობა დღემდე არ ასრულებს. ჩვენ კი ავტომანქანებს აღდგენის სხვა საშუალება არა გვაქვს. ამის გამო თივის დიდი ნაწილი დატოვებული გვაქვს ჩვენი საძოვრებიდან 140 კილომეტრის დაშორებით.

დიდი საყვედური გვაქვს ცეკავშირის საცალო ვაჭრობის ხელმძღვანელთა მიმართ. პირდაპირ შეიძლება ითქვას, რომ ისინი ძალზე გულგრილად ეკიდებიან მწყემსთა მომარაგების საქმეს. მაღაზიებში არ იშოვნება ხალათები, შარვლები, თეთრეული, ფეხსაცმელი, შაქარი და ხშირ შემთხვევაში ფქვილი, მარილი და ნავთიც კი.

ასეთივე სამდურავი ითქმის მეცხოველეობის სამანქანო სადგურის დირექციასა და ჩრდილოეთ კავკასიაში საქართველოს საზამთრო საძოვრების სამმართველოზე, რომლებიც ნაკლებად ეხმარებიან საზამთრო საძოვრებზე მყოფ კოლმეურნეებს მუშაობის გაუმჯობესებაში.

აღნიშნული ნაკლოვანებანი დროულად უნდა გამოვასწოროთ, რათა ზამთარს ყოველმხრივ მომზადებული შევხვდეთ.

დ. დევდარიანი,
ახმეტის რაიონის ქვემო ალვნის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარის მოადგილე.

ჩორნი რინოკი. ქართველ მწყემსთა სასტუმროს შენობა, რომლის აგება მიმდინარე წელს დამთავრდა.

ფოტო ე. ამბროშკევიჩისა.

მეცხვარეთა კულტურული მომსახურებისათვის

ქართველ მეცხვარეთა კულტურული მომსახურებისათვის გასულ წელს შეიქმნა ყიზლარის საზამთრო საძოვრებზე კულტურის სახლი. ახლა ჩვენ პოლიტიკური, მხატვრული და სასოფლო-სამეურნეო ლიტერატურის მდიდარი ფონდი გვაქვს. მწყემსთა განკარგულებაშია 12 ათასი წიგნი. ამას წინათ კულტსახლმა მიიღო მოძრავი ბიბლიოთეკა-ავტომობილი, რაც კიდევ უფრო აამაღლებს კოლმეურნეთა მომსახურების დონეს.

ზამთარში დედაქალაქიდან მოვლენებულმა აგიტმხატვრულმა ბრიგადამ საძოვრების ცალკეულ რაიონებში გამართა კონცერტები, ხოლო ქართველი მწერლების ბრიგადამ, რომელშიც შედიოდნენ ს. თავაძე, ვ. გორგანელი და შ. ამისულაშვილი, მწყემსებთან მოაწყო ლიტერატურული საღამოები.

მეცხოველეების გაზრდილ კულტურულ მოთხოვნილებათა მაჩვენებელია ის, რომ გასულ წელს მათ ბიბლიოთეკიდან გაიტანეს 3 ათასზე მეტი წიგნი.

მომავალი ზამთრის სეზონის შესახვედრად აქედანვე გავშალეთ მუშაობა. კაპიტალურად შეკეთებულ კულტსახლის შენობას. ახალი ლიტერატურით შეივსება სტაციონარული და მოძრავი ბიბლიოთეკები. ბაჯიგანის მასივზე, რომელიც კულტსახლიდან ასზე მეტი კილომეტრით არის დაშორებული, გაიხსნება კლუბი. იგი ძირითადად მოემსახურება დუშეთისა და თიანეთის რაიონების მწყემსებს. კულტსახლის მუშაკები პრაქტიკულად დაეხმარებიან კოლმეურნეობებს წითელი კუთხეების მოწყობა-გაფორმებაში.

სისტემატურად მოვაწყობთ გამოფენებს მოწინავე მეცხოველეთა გამოცდილების გავრცელების მიზნით, კიდევ უფრო გავაუმჯობესებთ კინომომსახურებისა და ლექცია-საუბრების ხარისხს.

საჭირო იქნება ამ საქმეში უფრო მეტი წვლილი შეიტანონ რესპუბლიკურმა ორგანიზაციებმა. მომდინარე წლის გაზაფხულზე მწყემსები კმაყოფილნი დარჩნენ, როცა საქართველოს რადიომაუწყებლობის რედაქციამ მათთვის სპეციალური რადიოგადაცემა გამართა. კარგი იქნება, თუ წელსაც მსგავსი რამ გამეორდება.

გასულ ზამთარს დუშეთის რაიონის კომკავშირულმა ორგანიზაციებმა შესანიშნავი თაოსნობა გამოიჩინეს — შეაგროვეს და მწყემსებს გაუგზავნეს ასობით წიგნი და კულტინვენტარი, მისწერეს პატრიოტული წერილები. ჩვენი აზრით, კარგი იქნება დუშელ კომკავშირელთა ამ წამოწყებას სხვა რაიონების კომკავშირელებმაც მიბაძონ.

საბჭოთა პრესის პრაქტიკაში არის გამსვლელი რედაქციების მოწყობა. ვფიქრობთ, საქმისათვის სასარგებლო იქნებოდა, თუ გამსვლელი რედაქცია მოეწყობა ნოღაის ველზე, განსაკუთრებით ყველაზე პასუხსაგებ პერიოდში — დღის დროს, როცა აქ მწყემსების დასახმარებლად მრავალი კოლმეურნე ჩამოდის. ნაბეჭდი გაზეთის უშუალოდ საძოვრებზე გამოცემა ხელს შეუწყობს მწყემსთა დარაზმვას მეცხოველეობის მკვეთრი აღმავლობისათვის ბრძოლაში.

სასურველია ჩვენი მწერლები, პოეტები, მსახიობები უფრო ხშირად ეწვიონ მოზამთრეებს და თავიანთი მხატვრული ნაწარმოებებით, თავიანთი ხელოვნებით აღაფრთოვანონ ისინი ახალი შრომითი წარმატებებისათვის.

ი. ხუციშვილი,
ყიზლარის საზამთრო საძოვრების კულტსახლის დირექტორი.

ნაკლოვანებები უნდა გამოსწორდეს

გასულ წელს ყიზლარის საზამთრო საძოვრებზე მყოფი ქართველი მეცხვარეები კარგად მოემზადნენ პირუტყვის გამოზამთრებისათვის, რამაც ხელსაყრელ ბუნებრივ პირობებთან ერთად უზრუნველყო ამ პასუხსაგები კამპანიის სანიმუშოდ ჩატარება. მიღებულია 100 პროცენტი მეტისური თაობის ბატკანი. მთელი სულადობა უდანაკარგოდ იქნა გადარეკილი საზაფხულო საძოვრებზე.

ჩრდილოეთ კავკასიაში საქართველოს მეცხოველეობის სამთანქონო სადგური და კოლმეურნეობები დროზე შეუდგნენ ზამთრისათვის მზადებას. მიუხედავად იმისა, რომ გვალვამ საგრძნობლად შეამცირა თივის გამოსავლიანობა, გამონახულ იქნა საკვები რესურსების შევსების ახალი წყაროები. შერჩევით გაითიბა 15.234 ჰექტარი ისეთი ფართობები (ცასპიის ზღვის სანაპიროებზე ბირიუზიის რაიონში, მდინარე კუმის ნაპირებზე, პირუტყვის გასარეკ მეოთხე ტრასაზე, სტავროპოლის მხარის საფონდო ადგილებში და სხვაგან), რომლებსაც წინათ ადამიანის ხელი არ მიჰკარებია.

მომთაბარე მეცხოველეობის ყველა რაიონმა შეასრულა სადაზღვევო თივის დამზადების გეგმა. დუშეთის რაიონმა თვითეულ ცხვარზე დაამზადა 161,5 კილოგრამი თივა ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 150-სა, ყაზბეგის — 153,1, თიანეთის — 150,3, ახმეტის — 155, ლენინგორის — 153,1, ჯავის რაიონმა — 151,7 კილოგრამი.

ყიზლარის საზამთრო საძოვრებზე დიდი ჩამორჩენაა ბინათმშენებლობაში. გეგმით გათვალისწინებულია აშენდეს მწყემსთა 30 საცხოვრებელი სახლი და ოცი აბანო. აშენებულია მხოლოდ 2 სახლი და 3 აბანო; მშენებლობის პროცესშია 10 საცხოვრებელი სახლი და 8 აბანო. 37.100 სული ცხვრისათვის გათვალისწინებული ფარეხებიდან აშენებულია ფარეხები მხოლოდ 1.000 სულისათვის, ხოლო მშენებლობის პროცესშია ფარეხები 17.100 სულისათვის. ბინების მშენებლობასა და რემონტს ჯერ არ შესდგომიან ყაზბეგისა და ჯავის რაიონები. ნელია მშენებლობისა და რემონტის ტემპები ლენინგორის, თიანეთისა და ახმეტის რაიონებში. მშენებლობასა და რემონტის საქმეში შედარებით წინ არის დუშეთის რაიონი. ამ რაიონის მაქართის, ჩარგალისა და ჭართლის კოლმეურნეობებმა ააშენეს მწყემსთა საცხოვრებელი სახლები და აბანოები და შეუდგნენ ცხვრის ფარეხების მშენებლობას.

მშენებლობის დაბალი ტემპის ერთ-ერთი მიზეზია ცეკავშირის ჩორნი რინოკის სავაჭროში სახერხის უქონლობა. სახერხის მოწყობა კი, რომელიც დავალებული ჰქონდა სოფლის მეურნეობის სამინისტროს, ჯერაც შეუსრულებელია. კოლმეურნეობებს ხე-ტყის დასახერხად წასვლა უხდებათ ქ. ყიზლარსა და სხვა დაშორებულ ადგილებში, რაც უარყოფით გავლენას ახდენს მშენებლობის ტემპებზე და იწვევს ზედმეტ ხარჯებს. ჭიანურდება ძველი ბინების დეზინფექცია, მაშინ, როცა ეს საკითხი გადადებას ვერ ითმენს. ცხვრის ნორმალურ გამოზამთრებაში დიდი როლი ენიჭება წყლით უზრუნველყოფას. ჩრდილოეთ კავკასიის გეოლოგიური პარტია, რომელიც საქართველოს საძოვრებზე არტეზიული ჭების გათხრას აწარმოებს, საქართველოს გეოლოგიურმა სამმართველომ მოხსნა ამ სამუშაოებიდან და გადაიყვანა პირუტყვის გადასარეკ ტრასაზე ჭების გასაკეთებლად, მაშინ, როცა გეგმა ამ დარგში სანახევროდაც არ არის შესრულებული და ამის გამო ყველა კოლმეურნეობა სასმელი წყლით უზრუნველყოფილი არ არის. ამ საკითხის მოგვარებას ახლავე უნდა მიექცეს ყურადღება.

პირუტყვის ნორმალური გამოზამთრებისათვის არ კმარა მარტო თივის დამზადება. ცეკავშირმა დროულად უნდა შეზიდოს ჩორნი რინოკში 3.000 ტონა სხვადასხვა სახის კონცენტრირებული საკვები, რათა კოლმეურნეობებმა ახლავე შეძლონ მისი გამოსყიდვა და ბინებში მიტანა. თავის დროზე შემოზიდულ უნდა იქნას აგრეთვე კირი, რომლის დიდ დეფიციტს განიცდიან კოლმეურნეობები, აგრეთვე ცემენტი, ავტოსატრაკები, ავტოსათადარიგო ნაწილები, ხე-ტყის მასალა, ბენზინი, ნავთი და სხვა აუცილებელი საქონელი.

მოახლოვდა ცხვრის საზამთრო საძოვრებზე გადარეკვის დრო. მაგრამ საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო არ ზრუნავს თავისი ობიექტების კადრებით დაკომპლექტებისათვის. ჩორნი რინოკის 35-საწოლიან საავადმყოფოს აკლია ერთი ექიმი და რამდენიმე მედიცინის და. ყაზბეგის საძოვრების მასივში თითქმის ერთ წელზე მეტია, რაც სამედიცინო პუნქტის შენობა აშენდა, მაგრამ მას დღემდე მედიცინის არც ერთი მუშაკი არ ემსახურება. სადგურ იშორის საფერშლო პუნქტში ფერშალი არა ჰყავთ. სოფელ ვოზნესენოვკის საფერშლო პუნქტში სკამს, მაგიდას, წამალს ვერ ნახავთ.

ჩორნი რინოკიდან მწყემსებისათვის ჟურნალ-გაზეთების მიწოდება სრულიად მოუწესრიგებელია, საფოსტო განყოფილებაში თვეობით აწყვია ჟურნალ-გაზეთები.

პრაქტიკული ნაბიჯები ჯერ კიდევ არ არის გადადგმული ყიზლარის საზამთრო საძოვრებისა და სათიბების გაუმჯობესებისათვის.

საზამთრო საძოვრების მუშაკთა ვალია სწრაფად გამოასწორონ ნაკლოვანებანი მუშაობაში და სათანადო სამეურნეო ორგანიზაციების დახმარებით უზრუნველყონ ცხვრის გამოზამთრებისათვის სანიმუშოდ მომზადება.

დ. ანდღულაძე,
საქართველოს საზამთრო საძოვრების სამმართველოს უფროსი ჩრდილოეთ კავკასიაში.

მოსკოვს ჩამოვიდნენ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სპეციალისტები

სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მოწვევით 7 სექტემბერს მოსკოვს ჩამოვიდა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო მეურნეობის სამინისტროს ხელმძღვანელ მუშაკთა ჯგუფი მინისტრის მოადგილის იუნ ვენ-ტაოს მეთაურობით. ჩინელი სპეციალისტები საბჭოთა კავშირში ჩამოვიდნენ, რათა გაეცნონ მეტყევეობის საკითხებს და სატყეო მეურნეობის სამუშაოებს.

ამავე დღეს ჩინელი სტუმრები შეხვდნენ საბჭოთა სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელ მუშაკებს. მეგობრული საუბრის დროს განხილულ იქნა საბჭოთა მეტყევეების მუშაობასთან გაცნობის გეგმა. სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის დათვალიერების შემდეგ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სპეციალისტები ინახულებენ მოსკოვის ოლქის მთელ რიგ სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტებს, დათვალიერებენ ივანტეევკის ტყის სანერგეს და პუშკინოს მექანიზებულ სატყეო მეურნეობას, ტყის ნარგავებს უჩინსკის წყალსაცავზე.

შემდეგ სტუმრები ორ ჯგუფად გაიყოფიან და იმოგზაურებენ ჩვენს ქვეყანაში. ისინი გაიცნობენ ტყის გაშენებას და სატყეო მეურნეობის მექანიზაციას ლენინგრადის ოლქში, კრასნოდარის მხარესა და საქართველოს სს რესპუბლიკაში. დათვალიერებენ უკრაინის სატყეო მეურნეობებს და ნაკრძალებს. (საკ‍დესი).

საბჭოთა სოფლის მეურნეობის სპეციალისტები რუმინეთში

ბუქარესტი, 7 სექტემბერი. (საკ‍დესი). რუმინეთის პრესა აქვეყნებს რუმინეთის დეპეშათა საგენტოს ცნობას, რომელშიც ნათქვამია:

რუმინეთის სახალხო რესპუბლიკაში ყოფნის დროს 23 აგვისტოს რუმინეთის განთავისუფლების მე-11 წლისთავის დღესასწაულის გამო, ამბანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა დაათვალიერა ბუქარესტის ოლქის ბრენეშტის რაიონის სოფელ ლევედის კოლექტიური მეურნეობა „ლენინის გზა“. ლევედის კოლმეურნეები დაინტერესდნენ მოწონავე მეთოდებით, რომლებსაც სსრ კავშირში იყენებენ საკვები კულტურების დასილოსების დროს. ამხანაგმა ხრუშჩოვმა მთელი რიგი რჩევა მისცა კოლმეურნეებს კოლექტიურ მეურნეობათა ეკონომიური განმტკიცების შესახებ.

ამას წინათ რუმინეთში ჩამოვიდა საბჭოთა კავშირის მეცნიერთა დელეგაცია, რომელშიც შედიან სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი და სსრ კავშირის არაშავნიადაგიანი ხოლის მარცვლეულის მეურნეობის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე ს. ს. პრაკსინი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი და სოციალისტური შრომის გმირი უკრაინის სსრ ჩერკასის ოლქის კოლმეურნეობა „ოქტომბრის მონაპოვრის“ თავმჯდომარე ფ. ი. დუბკოვეცკი, საბჭოთა კავშირის სამრეწველო შენობებისა და სასოფლო-სამეურნეო ნაგებობათა დამპროექტებელი სახელმწიფოს ინსტიტუტის თანამრონეერი ნ. ს. კორობკინი. 6 სექტემბერს საბჭოთა სპეციალისტებმა პრაქტიკულად უჩვენეს მეთოდები, რომლებსაც იყენებენ კოლმეურნეობა „ლენინის გზაში“ სიმინდის აღებისა და დასილოსების დროს. ესწრებოდნენ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე გ. გეორგიუ-დეჯი, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ა. მოგიოროში, სოფლის მეურნეობისა და სატყეო მეურნეობის მინისტრი კონსტანტინე პოპესკუ, რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის ბიოლოგიისა და სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა სექციის თავმჯდომარე აკადემიკოსი იონესკუ-სისეშტუ და სხვები.

დაესწრნენ აგრეთვე მახლობელ კოლმეურნეობათა წევრები, პლოშტის, კონსტანცის და იასის ოლქების სახალხო საბჭოების, პარტიის რაიკომების მუშაკები, აგრონომები, ვეტერინარები, დელეგატები და მრავალი ჟურნალისტი.

კ. პოპესკუმ თავის სიტყვაში აღნიშნა, თუ რა ძვირფასი დახმარება გაუწია საბჭოთა მეცნიერებამ რუმინელ მშრომელებს სოფლის მეურნეობაში. ს. ს. პრაკსინმა გააკეთა მოხსენება სიმინდის მოყვანისა და დასილოსების შესახებ. ფ. ი. დუბკოვეცკიმ ილაპარაკა თავისი მუშაობის გამოცდილებაზე როგორც კოლმეურნეობის თავმჯდომარემ. ნ. ს. კორობკინმა გააკეთა მოხსენება სსრ კავშირში საკვები კულტურების სასილოსე შენობათა მოწყობის შესახებ. შემდეგ საბჭოთა სპეციალისტებმა პრაქტიკულად უჩვენეს დამსწრეთ, თუ როგორ იღებენ დასასილოსებელ სიმინდს „დკუ“ მარკის მანქანით. დამსწრეებმა დასვეს მთელი რიგი კითხვები სიმინდის მოყვანისა და დასილოსების შესახებ და მადლობა გადაუხადეს სტუმრებს სხვადასხვა ძვირფასი რჩევისთვის.

საბჭოთა სასოფლო-სამეურნეო დელეგაცია კანადაში

ოტავა, 7 სექტემბერი. (საკ‍დესის სპეც. კორ.). 6 სექტემბერს მთელი დღე საბჭოთა სასოფლო-სამეურნეო დელეგაციამ გაატარა ქალაქ ოტავის ცენტრალურ ექსპერიმენტულ ფერმაში. ფერმის დირექტორმა გოულდენმა დელეგაციის წევრებს გააცნო კანადაში საცდელ მეურნეობათა ორგანიზაციის სისტემა. მან თქვა, რომ კანადაში არის 33 ექსპერიმენტული ფერმა, ამ ფერმების 22 ფილიალი და 2 სანერგე. ისინი მეცნიერულ-ექსპერიმენტულ მუშაობას ეწევიან სოფლის მეურნეობის დარგში და ფედერალურ ბიუჯეტზე არიან. თავიანთ ცდებს ისინი ამოწმებენ 240 კერძო ფერმაში. ამის გარდა არის ექსპერიმენტული ფერმები, რომლებიც პროვინციების მთავრობებს ეკუთვნით, აგრეთვე ფერმები უნივერსიტეტებთან და სასოფლო-სამეურნეო კოლეჯებთან.

ფერმის დირექტორმა გოულდენმა დელეგაციის წევრებს გააცნო სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა ფერმაში. მან თქვა, რომ ფერმაში აწარმოებენ მეცნიერულ მუშაობას მეცხოველეობის, მარცვლეული კულტურების, აგროტექნიკის, სოფლის მეურნეობის მექანიზაციის, მემინდვრეობისა და მებოსტნეობის, სოფლის მეურნეობის ორგანიზაციისა და მართვის და სხვ. დარგში.

დელეგაციის წევრებმა ექსპერიმენტული ფერმის მეცნიერ მუშაკთა თანხლებით დაათვალიერეს ფერმის საცდელი მინდვრები, იყვნენ პირუტყვის სადგომებში და საძოვრებზე.

ბრიტანეთის ტრედუნიონთა კონგრესზე

საუტპორტი, 7 სექტემბერი. (საკ‍დესის სპეც. კორ.). 7 სექტემბერს ბრიტანეთის ტრედუნიონების კონგრესზე ბრიტანეთის ტრედუნიონების კონგრესის ეკონომიური კომიტეტის თავმჯდომარემ ჰეივუდმა კამათი გახსნა ინგლისის ეკონომიური მდგომარეობის საკითხზე. მან კონგრესი გააფრთხილა, რომ შარშან მოხდა ინგლისის ეკონომიური მდგომარეობის მნიშვნელოვანი გაუარესება, ოქროს და დოლარის მარაგი შემაშფოთებელი სისწრაფით მცირდებოდა, ხოლო იმპორტისა და ექსპორტის განსხვავება კვლავ იზრდებოდა.

ჰეივუდმა პროფკავშირებს მოუწოდა გამოიჩინონ „თავშეკავება“ თავიანთ მოთხოვნებში ხელფასის შესახებ და აქტიურებდა, რომ ამ მოთხოვნებს შეუძლიათ ძირი გამოუთხარონ „ინგლისის შანსს გაადიდოს ექსპორტი გერმანიის, იაპონიისა და სხვა ქვეყნების მხრივ მზარდი კონკურენციის პირობებში“.

კამათის მონაწილე ყველა დელეგატი შიშს გამოთქვამდა უმუშევრობის ზრდის გამო.

კონგრესმა ერთსულოვნად მიიღო რეზოლუცია, რომელიც მოითხოვს სიძვირის შემცირების ღონისძიებათა მიღებას.

კონგრესი მუშაობას განაგრძობს.

საუტპორტი, 8 სექტემბერი. (საკ‍დესის სპეც. კორ.). 7 სექტემბრის საღამოს სხდომაზე ბრიტანეთის ტრედუნიონთა კონგრესმა განიხილა რეზოლუცია, რომელიც მოითხოვს სამუშაო კვირის შემცირებას. ამ რეზოლუციის მომხრეები აღნიშნავდნენ, რომ ამჟამად მუშები იძულებული არიან ზედმეტი იმუშაონ, რათა შეინარჩუნონ თავიანთი ცხოვრების დონე. ორატორები ხაზგასმით აღნიშნავდნენ, რომ სამუშაო დღის გაგრძელება ზედმეტი სამუშაოების ხარჯზე ნიშნავს არა მარტო ექსპლოატაციის გაძლიერებას, არამედ აგრეთვე იწვევს წარმოებაში უბედურ შემთხვევათა რიცხვის მკვეთრ კაოდიდებას. გენერალურმა საბჭომ დაილაშქრა რეზოლუციის წინააღმდეგ. რეზოლუციას ხმა მისცეს დელეგატებმა, რომლებსაც აქვთ 3.303 ათასი მანდატი, წინააღმდეგ — 3.664 ათასი მანდატი.

დელეგატთა უკმაყოფილება გამოიწვია მაღაროელთა დელეგაციის ხელმძღვანელობის საქციელმა, რომელმაც 676 ათასი ხმა მისცა რეზოლუციის წინააღმდეგ, მაშინ როცა მაღაროელთა პროფკავშირის ყოველწლიურმა კონფერენციამ მიიღო გადწყვეტილება იბრძოლოს სამუშაო კვირის შემცირებისათვის თავმჯდომარე გედესს მოუხდა რამდენიმე წუთის განმავლობაში დაეწყნარებინა აღშფოთებული დელეგატები, რომლებიც ხმამაღალ აბრალებდნენ მაღაროელთა პროფკავშირის ხელმძღვანელობას, რომ იგი არღვევს მშრომელთა სოლიდარობის პრინციპებს და პროფკავშირული დემოკრატიის საფუძვლებს.

მწვავე ბრძოლა გაჩაღდა აგრეთვე ხელფასის საკითხის გამო. ელექტრომრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის მდივანმა ჰეზელმა შეიტანა რეზოლუცია, რომელიც გმობს ხელფასის მომატებას მოთხოვნების ყოველგვარ შეზღუდვას. მან უარყო ხელფასის გაყინვის მომხრეთა თეზისი, რომლებიც ამტკიცებენ, რომ ხელფასის მომატება გამოიწვევს ფასების ზრდას და ძირს გამოუთხრის ინგლისის ექსპორტს.

ამ რეზოლუციის მომხრე ორატორები აღნიშნავდნენ, რომ მეწარმენი, მიმართავენ რა ამგვარ სატუთებს, ამავე დროს განუწყვეტლივ მზარდ მოგებას იღებენ. მრეწველთა მეწარმეთა გაერთიანებული პროფკავშირის დელეგაციის სოკტმა თავის სიტყვაში ხაზგასმით აღნიშნა, რომ მონოპოლიების მოგებას არასოდეს არ მიუღწევია ისეთი მაღალი დონისათვის, როგორც ამჟამად.

მაღაროელთა ეროვნული პროფკავშირის მდივანმა არტურ ჰორნერმა გაიღაშქრა ხელფასის მომატების მოთხოვნათა შეზღუდვის წინააღმდეგ. ინგლისის ქვანახშირის მრეწველობაში, განაცხადა მან, მუშახელის ნაკლებობა აიხსნება მეშახტეთა შრომის ანაზღაურების არასაკმაო დონით.

ვაჭრობისა და გამანაწილებელი ქსელის მუშაკთა პროფკავშირის ხელმძღვანელობამ შეიტანა შესწორება, რომელიც მნიშვნელოვნად შეასუსტა ელექტრიკოსთა რეზოლუციის მტკიცე ფორმულირება. შესწორების მიღებას მხარი დაუჭირეს გენერალურმა საბჭომ და მსხვილი პროფკავშირების ბლოკმა. იგი მოიწონეს 5.344 ათასი ხმით წინააღმდეგ 2.699 ათასი ხმისა.

კონგრესზე მყოფი მიმომხილველები აღნიშნავენ, რომ ხელფასის შესახებ რეზოლუციისათვის ბრძოლის შედეგი იმის ტიპიური ნიმუშია, თუ როგორ ცდილობს გენერალური საბჭო მიიღოს თავისთვის სასურველი გადწყვეტილებანი.

განსაკუთრებით აღნიშნავენ, რომ ტრანსპორტისა და არაკვალიფიციურ მუშათა უდიდესი პროფკავშირის ხელმძღვანელობამ ხმა მისცა რეზოლუციის შესწორების სასარგებლოდ, მაშინ როცა ამ პროფკავშირის წევრთა მეტი ნაწილი მოითხოვს ხელფასის მნიშვნელოვან მომატებას. ასეთივე პოზიცია დაიკავა მთელი რიგი სხვა მსხვილი პროფკავშირების ხელმძღვანელობამაც. ხელფასის დარგი „ზომიერების“ პოლიტიკის არაპოპულარობას მოწმობს ის ფაქტი, რომ ინგლისის 6 მილიონზე მეტი მუშა ახლა აქტიურად იბრძვის ხელფასის არსებითი მომატების განხორციელებისათვის.

საღამოს სხდომის ბოლოს კონგრესზე სიტყვა წარმოთქვა „თავისუფალ პროფკავშირთა საერთაშორისო კონფედერაციის“ წარმომადგენელმა ობერ ბეკუმ. ბეკუს სიტყვის ძირითადი აზრი იყო იმის მტკიცება, რომ, მიუხედავად ევენევის თათბირის შედეგებისა, „თავისუფალ პროფკავშირთა საერთაშორისო კონფედერაციაში“ შემავალმა პროფკავშირებმა თავი უნდა შეიკავონ ყოველგვარი თანამშრომლობისაგან პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციასთან.

ბრიტანეთის ტრედუნიონების კონგრესის გამო

ლონდონი, 7 სექტემბერი. (საკ‍დესი). კომენტარს უკეთებენ რა ბრიტანეთის ტრედუნიონების კონგრესზე გუშინდელ კენჭისყრას, ინგლისური გაზეთები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ დელეგატთა მნიშვნელოვანმა ნაწილმა გაილაშქრა ბრიტანეთის ტრედუნიონების კონგრესის გენერალური საბჭოს წინადადების წინააღმდეგ, რომლის თანახმად გენერალურ საბჭოს უფლება ეძლევა ჩაერიოს მშრომელთა და მეწარმეთა მოლაპარაკებაში და დამობილია ეგრეთწოდებული „არაოფიციალური გაფიცვები“ (ე. ი. გაფიცვები, რომლებიც მოწყობილია პროფკავშირის სანქციის მიუღებლად).

გაზეთ „ნიუს ქრონიკლის“ მიმომხილველი აცხადებს, რომ „ოპოზიციის სამი მილიონი ხმა უსიამოვნო მოულოდნელობა იყო ხელმძღვანელობისათვის“ (ბრიტანეთის ტრედუნიონების კონგრესისათვის. — რედ.).

„ტაიმსი“ თავის მხრივ სარედაქციო სტატიაში წერს: „პროფკავშირებმა, რომლებიც სამ მილიონზე მეტ მუშას წარმოადგენენ, ხმა მისცეს წესების იმ ცვლილების წინააღმდეგ, რომელიც უფლებას მისცემდა გენერალურ საბჭოს ჩაერიოს მოლაპარაკებაში (მუშებისა და მეწარმეების მოლაპარაკებაში. — რედ.). თითქმის სამი მილიონი ხმა მისცეს არაოფიციალური გაფიცვების დაგმობის წინააღმდეგ. ბრიტანეთის ტრედუნიონების კონგრესის ჩარევის მიმართ წინააღმდეგობა იმის შედეგი იყო, რომ ზოგიერთი მეტად დიდი პროფკავშირი უნდობლად ეპყრობა ბრიტანეთის ტრედუნიონების კონგრესის ხელმძღვანელობას“.

საბერძნეთ-თურქეთის ურთიერთობა

საბერძნეთის საფინანსადგეგო გამოსვლები თურქეთში

ათენი, 7 სექტემბერი. (საკ‍დესი). 6 სექტემბრის საღამოს სტამბოლში გაიმართა საბერძნეთის საფინანსადგეგო დიდი დემონსტრაციები, რომლებიც რამდენიმე საათს გაგრძელდა. დემონსტრაციის საბაბი გახდა აფეთქება, რომელიც 5 სექტემბრის ღამით მოხდა სალონიკის თურქეთის საკონსულოს შენობაში.

ათასობით დემონსტრანტი გაიძახოდა „კიპროსი თურქეთის კუნძულია“ და იკრიბებოდა სტამბოლის ძირითად ქუჩებში და მოედნებზე. რკინის კეტებით, ჯოხებით, ქვებით შეიარაღებული დემონსტრანტები ამტვრევდნენ ბერძენთა კუთვნილი მაღაზიების ვიტრინებსა და სახლების ფანჯრებს. იჭრებოდნენ მაღაზიებში და არბევდნენ მათ. მთელ რიგ რაიონებში ხანძარი გაჩნდა.

ნიუ-იორკი, 7 სექტემბერი. (საკ‍დესი). როგორც იუნაიტედ-პრესის საგენტოს კორესპონდენტი სტამბოლიდან იუწყება, სტამბოლში საბერძნეთის საფინანსადგეგო გუშინდელი დემონსტრაციებით მიყენებული ზარალი მილიონობით დოლარს უდრის. დემონსტრანტებმა ცეცხლი წაუკიდეს ყველაზე დიდ ბერძნულ ეკლესიას სტამბოლში.

კორესპონდენტი აგრეთვე იუწყება, რომ გუშინ იზმირში მოხდა საბერძნეთის საფინანსადგეგო დიდი გამოსვლები. ამ ქალაქში დემონსტრანტებმა ცეცხლი წაუკიდეს საბერძნეთის საკონსულოს შენობას და საბერძნეთის პავილიონს საერთაშორისო ბაზრობის ტერიტორიაზე. ისინი ნავებში ჩასხდნენ და ცდილობდნენ იერიში მიეტანათ საბერძნეთის გემებზე, რომლებიც იზმირის ნავსადგურში იმყოფებოდნენ, მაგრამ პოლიციამ ჰაერში ესროლა ცეცხლოვანი ტყვიები, ამის შემდეგ ბრბომ ცეცხლი ... [illegible] ... ზომალდებმა სასწრაფოდ ასწიეს ღუზები და ზღვაში გავიდნენ.

ნიუ-იორკი. 7 სექტემბერი. (საკ‍დესი). როგორც ასოშიეიტედ პრესის საგენტოს კორესპონდენტი სტამბოლიდან იუწყება, სტამბოლში საბერძნეთის საფინანსადგეგო დემონსტრაციების დროს იზმირში დაარბიეს 15 სახლი, რომლებიც ბერძენ ოფიცრებს — ევროპის სამხრეთ-აღმოსავლეთ ზონაში ნატოს შტაბის თანამშრომლებს ეკუთვნით.

ათენში აგრეთვე გამოაცხადეს, რომ საბერძნეთის „დაკოტის“ ტიპის სამხედრო თვითმფრინავი გაიგზავნა იზმირს, რათა იქიდან გამოიყვანოს ნატოს შტაბში მომუშავე ბერძენი ოფიცრების ოჯახები.

ლონდონი, 7 სექტემბერი. (საკ‍დესი). როგორც რეიტერის საგენტოს ათენელი კორესპონდენტი იუწყება, საბერძნეთმა ინსტრუქცია მისცა თავის წარმომადგენელს ჩრდილოეთ ატლანტიკის კავშირის (ნატოს) შტაბ-ბინაში—მოითხოვოს ნატოს საბჭოს სპეციალური სხდომის მოწვევა იზმირსა და სტამბოლში საბერძნეთის საფინანსადგეგო გამოსვლების საკითხის განსახილველად.

საბჭოთა პავილიონი კარაჩის საერთაშორისო ბაზრობაზე

კარაჩი, 7 სექტემბერი. (საკ‍დესი). როგორც ყოველკვირეული გაზეთი „კარაჩი კომერსი“ იუწყება, კარაჩის საერთაშორისო ბაზრობაზე პირველად იქნება წარმოდგენილი საბჭოთა კავშირი. ბაზრობა გაიხსნება 9 სექტემბერს.

საბჭოთა ექსპონატებისათვის აშენდა ახალი პავილიონი, რომლის ფართობი 2.200 კვადრატული მეტრია. ზოგიერთ ექსპონატს უჩვენებენ პავილიონის მომჯენავე ღია მოედანზე.

მნახველები გაეცნობიან საბჭოთა მიღწევებს მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, მანქანათმშენებლობის, მეცნიერებისა და კულტურის დარგში, აგრეთვე ცხოვრების დონის ამაღლების დარგში მიღწეულ წარმატებებს.

საბჭოთა პავილიონში სხვა ექსპონატებს შორის უჩვენებენ თანამედროვე ლითონსაჭრელ ჩარხებს, საფეიქრო მანქანებს, ელექტრომოწყობილობას, ოპტიკურ ხელსაწყოებს, სამედიცინო აპარატურას, ელექტროსაზომ ხელსაწყოებს, საგზაო მანქანებს, ნავთობსარეწების მოწყობილობას, ავტომობილებსა და ყოველგვარ სასოფლო-სამეურნეო მანქანებს. გარდა ამისა, გამოფენილი იქნება ბევრი საზეიმის სამრეწველო ნედლეული და საქონელი, აგრეთვე სპეციალური და ტექნიკური ლიტერატურა და პერიოდიკა.

გადაწყვეტილება უნგრეთის შეიარაღებული ძალების შემცირების შესახებ

ბუდაპეშტი, 7 სექტემბერი. (საკ‍დესი). როგორც უნგრეთის დეპეშათა საგენტო იუწყება, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ, მიიღო რა მხედველობაში საერთაშორისო დაძაბულობის შენელება ოთხი დიდი სახელმწიფოს ჟენევის თათბირის შემდეგ და სურს რა თავის მხრივ ეფექტიანად შეუწყოს ხელი საერთაშორისო მდგომარეობის შემდგომ შენელებასა და სახელმწიფოთა შორის ნდობის აღდგენას, გადწყვიტა, რომ 1955 წლის 31 დეკემბრამდე უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის შეიარაღებული ძალები 20 ათასი კაცით შემცირდეს.

შეიარაღებული ძალების შემცირებით განთავისუფლებული მატერიალური სახსრები გამოყენებულ იქნება სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარებისა და სოციალური საჭიროებისათვის. დემობილიზებულ მებრძოლებსა და ოფიცრებს სამუშაოზე მოაწყობენ სოფლის მეურნეობასა და მრეწველობაში, აგრეთვე სახალხო მეურნეობის სხვა დარგებსა და სხვადასხვა დაწესებულებებში.

ვარშავაში ჩავიდა საბჭოთა დელეგაცია

ვარშავა, 7 სექტემბერი. (საკ‍დესი). პოლონეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის ტრადიციულ ერთთვიურში მონაწილეობის მისაღებად დღეს ვარშავაში ჩამოვიდა უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის საკავშირო საზოგადოების დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს სსრ კავშირის უმაღლესი განათლების მინისტრი ვ. პ. ელიუტინი.

უშიშროების საბჭოს სხდომის მოწვევა

ნიუ-იორკი, 8 სექტემბერი. (საკ‍დესი). ინგლისის, საფრანგეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელთა თხოვნით 8 სექტემბერს დილით აქ მოწვეულ იქნება უშიშროების საბჭო, რომელსაც განსახილველად წარედგინება შემდეგი საკითხი: „პალესტინის საკითხი, ღაზის რაიონში სამარი მოქმედების შეწყვეტა და შემდგომი ინციდენტების თავიდან აცილების ღონისძიებანი“.

დამთავრდა მებაღეობის საკითხთა საერთაშორისო კონგრესი

ჰააგა, 8 სექტემბერი. (საკ‍დესი). ჰაგაში მუშაობა დამთავრა მებაღეობის საკითხთა მე-14 საერთაშორისო კონგრესმა. კონგრესმა განიხილა მებაღეობის, მეხილეობის, მეყვავილეობის, აგრეთვე ტროპიკული და სუბტროპიკული კულტურების მოყვანის მთელი რიგი მეცნიერული პრობლემები და მიიღო შესაბამისი გადწყვეტილებანი. კონგრესმა მოიწონა საფრანგეთის დელეგაციის წინადადება, რომ მებაღეობის საკითხთა შემდეგი, მე-15. საერთაშორისო კონგრესი მოწვეულ იქნას 1958 წელს მაროკოში.

საბჭოთა მეცნიერების დელეგაციის ხელმძღვანელმა მოსკოვის კ. ა. ტიმირიაზევის სახელობის სასოფლო-სამეურნეო აკადემიის მეხილეობის კათედრის გამგემ პროფესორმა ვ. ა. კოლესნიკოვმა საკდესის კორესპონდენტთან საუბარში განაცხადა, რომ ახლანდელი კონგრესი ყველა წინა კონგრესისაგან განსხვავდება მონაწილეთა დიდი რიცხვით (65 ქვეყნის დაახლოებით ათასი დელეგატი).

კონგრესზე გამოვლინდა ყველა დელეგატას მისწრაფება დამყარონ უფრო მჭიდრო კონტაქტი სხვადასხვა ქვეყნის მეცნიერთა შორის. საბჭოთა მეცნიერებმა კონგრესზე გააკეთეს მოხსენებანი, რომლებმაც დელეგატების დიდი ინტერესი გამოიწვია. ბევრი უცხოელი მეცნიერი ზეპირად მიმართავდა საბჭოთა დელეგატებს ახსნა-განმარტებისა და მეთოდური დახმარებისათვის.

თავის მხრივ საბჭოთა მეცნიერებმა ბევრი საინტერესო მონაცემი მიიღეს საზღვარგარეთ სასოფლო-სამეურნეო მეცნიერების მდგომარეობის შესახებ. საბჭოთა დელეგატებზე ძალიან დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ვაგენინგენში გამგზავრებამ, სადაც არის ჰოლანდიის მეტი წილი სასოფლო-სამეურნეო საცდელი სადგურები და ინსტიტუტები. ნალდვეიკის მთლიანი მებოსტნეობისა და მეხილეობის რაიონში საბჭოთა დელეგაციამ გაეცნო სამეცნიერო-კვლევითი და საწარმოო მუშაობის ორგანიზაციას. ხეხილის, კენკრისა და ბოსტნეული კულტურების მოყვანის მეთოდებს და წარმოებაში ჰოლანდიის საცდელი სადგურების მიღწევების დანერგვის მეთოდებს.

საინტერესო არქეოლოგიური გათხრები

შავი მეტალურგიის მუშაკთა პროფკავშირის კვერეთის (საჩხერის რაიონი) დასასვენებელი სახლი.

ფოტო მ. ხოხიაშვილისა.

★ ★

საჩხერე. (საკ. კორ.). აქ ერთ თვეს იმყოფებოდა სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არქეოლოგიური ექსპედიცია დოკენტ ო. ჯაფარიძის ხელმძღვანელობით. ექსპედიციაში მონაწილეობდნენ მეცნიერი მუშაკები ლ. ღლონტი, ც. თოლორდავა, ნ. ხოსიტაშვილი, ნ. იაკობაშვილი და ისტორიის ფაკულტეტის სტუდენტები.

ექსპედიციამ არქეოლოგიური გათხრები ჩაატარა „ცარცის გორაზე“, „ნაჩერქეზევში“, სოფელ ქორეთსა და პასიეთში. აღმოჩენილია ბრინჯაოს ხანის ბევრი მნიშვნელოვანი იარაღი და ნივთი.

„ნაჩერქეზევში“ ექსპედიციამ აღმოაჩინა ადრეული ბრინჯაოს ხანის სარიოლებრივი სამარხები. სამარხის ზედა ნაწილში ნაპოვნია სხვადასხვა ფორმისა და ზომის თიხის ჭურჭელი, სამეურნეო და საომარი იარაღები, კაჟისა და ბრინჯაოს ნივთები, სამკაულები და სხვ.

ჯერ კიდევ გასულ წელს სოფელ ქორეთში მოსწავლეებმა გივი, ლანა და ცაცა ფარკოსაძეებმა ყორღანული ტიპის უძველესი სამარხი ნახეს. მიუხედავად იმისა, რომ სამარხის ცენტრალური ნაწილი დაზიანებული იყო, ექსპედიციისათვის მაინც საინტერესო გამოდგა. ქვაყრილში აღმოჩნდა ბრინჯაოს ცულები, დიდძალი თიხის ჭურჭელი, სატევრები (ერთ მათგანს ლამაზი ორნამენტებით შემკული ბრინჯაოს ტარი აქვს), ჭინძისთავები და სხვ.

ფრიად საინტერესო გამოდგა მეორე სამარხი (ვარაუდობენ, რომ იგი ქალისაა). სადაც ნაპოვნია ძვირფასი სამკაულები — ბრინჯაოს ქინძისთავები, ლამაზი მძივები და სხვ.

მეცნიერებისათვის მნიშვნელოვანია აგრეთვე „კარაბტინის“ განთხარები, სადაც გვხვდება არქაული ტიპის კერამიკა, კაჟის ბატარა ისრის წვერები, კაჟის დანები, ძვლის სადგისები, თიხისაგან გამოძერწილი ცხოველების გამოსახულებანი და სხვ.

ახალი სპექტაკლი

კ. მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრმა 7 სექტემბერს მიმდინარე სეზონის პირველ ახალ დადგმად მაყურებელს უჩვენა ბერნარდ შოუს კომედია „პიგმალიონი“ (თარგმანი ინგლისურიდან ი. ტრიპოლსკისა და მ. ქარჩავასი).

სპექტაკლის დადგმა ეკუთვნის რეჟისორ ლ. იოსელიანს, მხატვრობა — ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს ე. აბელედიანს, მუსიკა — კომპოზიტორ ო. ბარამიშვილს.

როლებს ასრულებენ სტალინური პრემიის ლაურეატი, რესპუბლიკის სახალხო არტისტი ს. ზაქარიაძე, სტალინური პრემიის ლაურეატები, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტები მ. ჯაფარიძე, ა. ომიაძე, ა. კვანტალიანი, რესპუბლიკის სახალხო არტისტი ე. დონაური, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ბ. გაბრაელი, მსახიობები ე. ასლამაზაშვილი, გ. ბაქრაძე, ნ. მგალობლიშვილი, მ. მგელაძე და სხვ.

საზღვნათაშორისო საჰაერაკრ ტურნირზე ბელგოროდში

სტოკჰოლმი, 7 სექტემბერი. (საკ‍დესის სპეც. კორ.). თამაშის უკანასკნელმა საათმა მე-13 ტურში კიდევ 3 შედეგი გამოარკვია. გერმანელ უკეთესი დაბოლოება მოიპოვა პარტიაში ბისჰაიერთან, მაგრამ შეცდომა დაუშვა და ამერიკის შეერთებული შტატების ჩემპიონს შეეძლო ადვილად მიეღწია ყაიმისათვის. მაგრამ ბისჰაიერმა თავის მხრივ ცუდად ითამაშა და დამარცხდა.

ტურნირის ყველაზე ახალგაზრდა მონაწილეებმა პონო — სპასკის შეხვედრა არგენტინელის გამარჯვებით დამთავრდა, რომელმაც კარგი სტილით გაითამაშა მთელი პარტია.

ფილიმბა მოუგო სლიფას.

სამი პარტია დაუმთავრებელი დარჩა.

ილივიცკის აქვს ხელმძღვანელობა ბოლოს მდგომარეობა მედინას წინააღმდეგ. დაახლოებით თანასწორი შანსებია ნაიდორფ—პეტროსიანისა და გიმარ—დონერის პარტიებში.

გროსმაისტერი ი. ბოგლიარსკი.

სსრ კავშირის პირველობაზე

მოსკოვი. 8 სექტემბერი. დედაქალაქის „დინამოს“ ცენტრალურ სტადიონზე გაიმართა მიმდინარე სეზონის ერთ-ერთი ცენტრალური მატჩი. ერთმანეთს შეხვდნენ მოსკოვის „სპარტაკისა“ და საბჭოთა არმიის ცენტრალური სახლის ფეხბურთელთა კოლექტივები. ეს გუნდები საპრიზო ადგილებს მთავარი პრეტენდენტები არიან. თვითეულ მათგანს 19 თამაშიდან 28 ქულა ჰქონდა შეგროვებული.

საინტერესო ასპარეზობა დამთავრდა ფრედ 2:2.

საერთაშორისო შეჯიბრება ფეხბურთში

მოსკოვის დინამოელთა მორიგი გამოსვლა იტალიაში სპორტის მოყვარულთა საერთო ინტერესს იწვევდა. როგორც ცნობილია, პირველ მატჩში საბჭოთა ფეხბურთელებმა ანგარიშით 4:1 დაამარცხეს პროფესიული კლუბის „მილანის“ გუნდი.

გუშინ მოსკოვის დინამოელები შეხვდნენ კლუბ „ფლორენტინას“ გუნდს. გაიმარჯვეს იტალიელმა ფეხბურთელებმა ანგარიშით 1:0.

ახალი მსოფლიო რეკორდი

6 სექტემბერს ლენინგრადის ს. მ. კიროვის სახელობის სტადიონზე გაიმართა საქალაქო შეჯიბრება მძლეოსნობაში. ამ ასპარეზობაში დიდი წარმატება მოიპოვა სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა გალინა ზიბინამ („ზენიტი“), რომელმაც ბირთვი ჭარა 16 მეტრსა და 29 სანტიმეტრზე და ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა.

რედაქტორი ბ. ფირცხალავა.

მოსკოვს ჩამოვიდნენ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სპეციალისტები

სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მოწვევით 7 სექტემბერს მოსკოვს ჩამოვიდა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სატყეო მეურნეობის სამინისტროს ხელმძღვანელ მუშაკთა ჯგუფი მინისტრის მოადგილის იუნ ვენ-ტაოს მეთაურობით. ჩინელი სპეციალისტები საბჭოთა კავშირში ჩამოვიდნენ, რათა გაეცნონ მეტყევეობის საკითხებს და სატყეო მეურნეობის სამუშაოებს.

ამავე დღეს ჩინელი სტუმრები შეხვდნენ საბჭოთა სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელ მუშაკებს. მეგობრული საუბრის დროს განხილულ იქნა საბჭოთა მეტყევეების მუშაობასთან გაცნობის გეგმა. სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის დათვალიერების შემდეგ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სპეციალისტები ინახულებენ მოსკოვის ოლქის მთელ რიგ სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტებს, დათვალიერებენ ივანტეევკის ტყის სანერგეს და პუშკინოს მექანიზებულ სატყეო მეურნეობას, ტყის ნარგავებს უჩინსკის წყალსაცავზე.

შემდეგ სტუმრ